ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფოუნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტი

ქრისტინე სახელაშვილი

დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა

სამაგისტრო პროგრამა : ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ნინო აბესაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2020

ანოტაცია

ტურიზმის სექტორის მნიშვნელობა საქართველოში დღითი დღე იზრდება , რაც განპირობებულია ამ დარგის უნარით დაეხმაროს ქვეყანასეკონომიკური დოვლათის დაგროვებაში. ტურიზმი არ არის მხოლოდ და მხოლოდ გართობის , დასვენების ან სხვა სოციალური მიზნით ვიზიტორების გადაადგილება, არამედ ეს არის დიდი პოტენციალის მქონე ბიზნეს საქმიანობა.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოში დსთ-დან შემოსული ტურისტული ნაკადების სტატისტიკური ანალიზი. ნაშრომშიდახასიათებულია საქართველოში ტურიზმის განვითარების ეტაპები, კომპლექსურად გაანალიზებულია გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები. განხილულია ტურიზმის სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგიური საკითხები. მსოფლიო გლობალური ინდექსების მიხედვით გაანალიზებულია საქართველოს რეიტინგული პოზიციები დინამიკაში და გამოვლენილია ნეგატიური და პოზიტიური ძვრების მნიშვნელობები სუბინდექსების მიხედვით.ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოში დსთ-დან ტურისტული ნაკადების სტატისტიკურ ანალიზს, კერძოდ გაანალიზებულია მისი ძირითადი მაჩვენებლები, გეოგრაფიული სტრუქტურა, ნაკადების დემოგრაფიული მონაცემები, საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, გაწეული ხარჯების სტრუქტურა და ა.შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის , ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის კვეთის მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლენილია ძირითადი ტენდენციები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

Annotation

The importance ofthe Tourism sector in Georgia develops day by day. It's due to the ability of this sphere to help country gather economical wealth.Tourism isn't only about relocating visitors for fun, leisure or other social purposes, but it's a business with great potential.

The aim of the given MA thesis is the statistic analysis of tourist flow from CIS to Georgia. The given thesis describes: the stages of tourism development in Georgia,comprehensive analysis ofmain trends and regularities,modern methodological issues of tourism statistics, according to the World Global Index is analyzed Georgia's ranking positions in dynamics and also identified positive and negative shifts according to subindexes.The special attention is focused on the statistical analysis of tourist flows from the CIS to Georgia, in particular, its main indicators, geographical structure, demographic data of flows, the purpose of arriving in Georgia,the structure of expenditures etc.

According to the National Statistics Office of Georgia,theGeorgian National Tourism Administration and cross-boundary data of the Ministry of Internal Affairs, the main trends have been identified and relevant conclusions have been made.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. ტურიზმისსტატისტიკისთეორიულ-მეთოდოლოგიურისაკითხები 8

1.1.ტურიზმისთავისებურებებიდამისისტატისტიკურიშესწავლისამოცანები 8

1.2 ტურიზმისსტატისტიკურიკვლევისთანამედროვემეთოდოლოგია 15

თავი 2. საქართველოსრეიტინგიგლობალურიინდექსებისმიხედვითდატურიზმისგანვითარებისძირითადი ტენდენციები 21

2.1 .ტურიზმისგანვითარებისძირითადიტენდენციებისაქართველოში 21

2.2. გლობალურიინდექსებიდატურიზმისგანვითარებასაქართველოში 28

თავი III. დსთ-სქვეყნებთანსაერთაშორისოტურიზმისეკონომიკურ-სტატისტიკურიანალიზიდატურიზმისგანვითარებისმოლოდინები 41

3.1.დსთ-სქვეყნებიდანშემოსულიტურისტულინაკადებისსტატისტიკურიკვლევა 41

3.2 ტურიზმისგანვითარებისმოლოდინებიკორონომიკისპირობებში 63

დასკვნა 69

გამოყენებულილიტერატურა 71

შესავალი

ტურისტული ინდუსტრიის განვითარება როგორც მთლიანად მსოფლიოსთვის ასევე საქართველოსთვის, 21 საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ტურისტული ნაკადების რაოდენობა განაპირობებს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებაზე. საქართველოსთვის ტურიზმის სექტორის სიძლიერე საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია , რაც განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკის მჭიდრო დამოკიდებულებით ტურიზმზე.

თანამედროვე სამყაროში ტურიზმის განვითარების ტემპები აჩქარებულია, რაც კონკურენციას ამ სფეროში მუდმივად ზრდის. ეს ერთი მხრივ მასტიმულირებელია და ტურისტებისთვის ხელსაყრელი, რადგან ტურისტული სერვისის მიმწოდებლები ხარისხის გაუმჯობესებით ცდილობენ შეინარჩუნონ პოზიციები. საგულისხმოა , რომ საქართველო ტურიზმის განვითარების ეტაპების გავლას , ტურისტული მომსახურების დახვეწას და გაუმჯობესებას მუდმივად ცდილობს. ამ პროცესში ის კავკასიის რეგიონში მოწინავეა და ბევრ ევროპულ ქვეყანასაც უწევს ღირსეულ კონკურენციას. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო ტურისტულად მიმზიდველი და მრავალფეროვანი ქვეყანაა, თითოეულ კუთხეს აქვს ღირსშესანიშნაობები, ისტორიული ძეგლები და მდიდარი ლანდშაფტი. გეოგრაფიულად სტრატეგიული მდებარეობა, მდიდარი კულტურა, სამთო და საზღვაო ტურიზმის მრავალსახეობა და კიდევ უამრავი ფაქტორი განაპირობებს ქვეყნის ტურისტულად მაღალ პოტენციალს. საქართველოს მიმზიდველობა იზრდება და მისი გეოგრაფიული სტუქტურა ცხადყობს პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეზიდენტების საქართველოთი დაინტერესების სისტემატურ ზრდის ტენდენციას.ამიტომ კვლევის მიზნად დავისახეთ დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენს მიერ დასმულ და გადაწყვეტილ იქნა შემდეგი ამოცანები: გამოვლენილ იქნა ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები, მის განვითარებაზე მომქმედი ფაქტორები, ჩატარებულ იქნა დსთ-ს ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების მოძრაობის რაოდენობრივი ანალიზი, გაანალიზებულ იქნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და მოგზაურობის გლობალური ინდექსები, მათი სუბინდექსების საფუძველზე გამოვლენილ იქნა გაუმჯობესებისა დ გაუარესების შედეგების მქონე სუბინდექსები, რის საფუძველზეც გაკეთებულ იქბა შესაბამისი დასკვნები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომის აქტუალობა უდავოა.

ტურიზმის განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიის გამო 2020 წელი მსოფლიოს ისტორიაში შევა როგორც ტურიზმის განვითარების ძირითადი პარამეტრების მნიშვნელობების მკვეთრად ვარდნის პერიოდი. მსოფლიო ტურიზმის განვითარებისა და აღმავლობის მოლოდინშია და აქედან გამომდინარე ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაც ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადავიდა. ამ მოვლენებს ცხადია, ვერ აცდა საქართველოც.

2020 წლის პირველი კვარტლის მეორე ნახევრიდან მთლიანად შეიზღუდა ტურისტული ნაკადების ქვეყანაში შემოსვლა, აიკრძალა შიდა ტურიზმი და ნებისმიერი სახის ტურისტული გადაადგილება. ამით ამ სექტორში მომუშავე ყველა სუბიექტი, ყველა საწარმო დაზარალდა და მათი ეკონომიკური საქმიანობა შეჩერდა. შესაძლოა ამ საუკუნის ყველაზე დიდი გამოწვევა ტურისტული სექტორისთვის სწორედ ამ პანდემიით გამოწვეული რეცესია გახდეს.

დღეისთვის ტურისტული პოტენციალის ამაღლებისთვის სპეციფიკური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ძველ და აპრობირებულ მეთოდებთან ერთად აუცილებელია ახლებური მიდგომების დანერგვა და ტურიზმის სექტორის გადაწყობა მოცემული სიტუაციის შესაბამისად. არსებული გამოწვევები კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ტურიზმის სექტორში მომუშავე თითოეულ ადამიანს, პოლიტიკის

გამტარებლებს , მთლიანად საზოგადოებას რათა ქვეყანამ მოკლე ვადებში დაიბრუნოს კონკურენტუნარიანობა , ტურისტებს შესთავაზოს მათთვის ხელსაყრელი გარემო და კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ საქართველო არის ტურისტულად მაღალი პოტენციალის მქონე ქვეყანა , სადაც ვიზიტორები თავს იგრძნობენ კომფორტულად, დაცულად და მათი ყველა მოთხოვნა იქნება დაკმაყოფილებული.

თავი I. ტურიზმისსტატისტიკისთეორიულ-მეთოდოლოგიურისაკითხები

1.1.ტურიზმისთავისებურებებიდამისისტატისტიკურიშესწავლისამოცანები

ტურიზმი ნიშნავს მოგზაურობას სხვადასხვა მიზნით . ტურიზმის წარმოშობა და მისი განვითარება დროში გაწელილი და რთული პროცესია. როგორც სხვა სექტორმა , ასევე ტურიზმმაც საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, იყო აღმავლობის და რეცესიის პერიოდები . მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრია ხშირად იდგა საკმაოდ საშიში გამოწვევების წინაშე, როგორიც იყო პანდემიური მოვლენები , ბუნებრივი კატასტროფები , გლობალური ეკონომიკური კრიზისები და ა.შ. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს პროგრესი , რომელიც ამ სექტორმა განიცადა უძველესი დროიდან თანამედროვე სამყარომდე. პირობითად ტურიზმის განვითარება შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ეტაპად , ძველი რომიდან დაწყებული , შუა საუკუნეებით გაგრძელებული , ინდუსტრიული ბუმის პერიოდის ტურისტული აქტივობა , ტურიზმი ტექნიკური გამოგონებების ხანაში და თანამედროვე ტურიზმი. თითოეულ პერიოდს ახასიათებს კონკრეტული თავისებურება და განვითარების განსხვავებული ტემპი.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურისტებსშემდეგნაირადგანმარტავს: „ხალხი,რომელიცტოვებსთავისჩვეულგარემოსდამიემგზავრებასხვაადგილასერთთანამიმ დევრულწელზენაკლებიხნით,დასვენების,თავისუფალიდროისხარჯვისანსხვამიზნებით.[1]

საქართველო მსოფლიოს ნაწილია და შესაბამისად ტურიზმის წარმოშობის და განვითარების ყველა ეტაპი აქვს გავლილი. ცვლილებები , რომელსაც მსოფლიო ტურიზმი განიცდიდა ასევე შეეხო საქართველოსაც. ჩვენი ქვეყნისთვის ტურიზმი მაღალი სოცაილურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საქმიანობაა , რომელსაც შეუძლია ქვეყნის

[1]https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98

ფინანსური სტაბილურობის განსაზღვრა. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა იყო და არის პრიორიტეტული საქმიანობა საქართველოს მთავრობისთვის და საზოგადოებისთვის. მე19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო ტურიზმის ეტაპობრივი განვითარება , თუმცა სრულყოფილად უკვე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ფუნქციონირება, რაც განპირობებული იყო სასტუმროების და ტურისტული ბაზების ექსპლუატაციაში შესვლით. თავდაპირველად პროცესი დაიწყო თბილისით , შემდგომ შავიზღვისპირეთით და გაგრძელდა მაღალმთიანი რეგიონებით. სწორედ ეს ადგილები გადაიქცა ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად.

შესაძლოა გამოიყოს ტურიზმის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები:

1. პროგრესი სატრანსპორტო სფეროში
2. საზოგადოების მიერ თავისუფალი დროის ეფექტურად გამოყენების კულტურის განვითარება
3. ურბანიზაციის ზრდის უარყოფითი შედეგები , ეს პროცესი მე-20 საუკუნეში დაიწყო და გულისხმობდა დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მოსახლეობის დიდი ნაწილის თავმოყრას .
4. სასაზღვრო პროცედურების თანდათანობით შემსუბუქებას , მაგალითად : ცალმხრივი და ორმხრივი უვიზო რეჟიმის გააქტიურებას , რომელიც საქართველოშიც მოქმედებს რიგი ქვეყნებისთვის.
5. ცალკეული ქვეყნებში ტურისტული კულტურის დონის ამაღლება და დახვეწა.
6. ინფორმაციის მოძიების გამარტივება , რაც უკავშირდება კომპიუტერიზაციას და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას ტურისტულ სფეროში.

ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური როლიდან გამომდინარე აუცილებელია მისი სტატისტიკური შესწავლა და ეკონომიკაზე მისი გავლენის ეფექტის რაოდენობრივი განსაზღვრა. მეცნიერული კვლევა გვაძლევს სარწმუნო პასუხებს კითხვებზე , რა ტემპით ვითარდება ქვეყნის ტურისტული სექტორი , არის თუარა ტურიზმი მომგებიანი ქვეყნის ეკონომიკისთვის , რომელი ტურისტული პროდუქტის განვითარებაა ხელსაყრელი , არის თუარა მზად ქვეყანა ტურიზმის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი

ინფრასტრუქტურული ცვლილებებისთვის და სხვა. ტურიზმის სტატისტიკის განვითარება ერთნაირად ეხმარება პოლიტიკის გამტარებლებს , ამ სფეროში დასაქმებულ სუბიექტებს და უბრალოდ ტურისტებს, რომლებსაც აძლევს ანალიზის საშუალებას , თუ რომელი ტურისტული პროდუქტით ისარგებლონ და რომელია მათთვის უფრო მისაღები.

ტურიზმის სტატისტიკა შედარებით ახალგაზრდაასხვადასხვა დარგის სტატისტიკებთან შედარებით, ამიტომდღესაც მიმდინარეობს მისი სრულყოფა და განვითარებამსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.პირველი ნაბიჯები ტურიზმის სტატისტიკაში გადაიდგა ერთა ლიგის საბჭოს მიერ 1937 წელს, როდესაცდაფიქსირდა საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი ცნებები. ახალი ეტაპი საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკაში კი XX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპულ ქვეყნებში მრავალი სამეურნეო პრობლემა წარმოიქმნა, ეს იყო საფინანსო, ეკონომიკური თუ მმართველობითი. სიტუაციის სტაბილიზაციამ მოითხოვა კოორდინირებული მოქმედებების მთელი კომპლექსი. ასეთ პირობებში მთავრობებმა, ამყარებდნენ რა ტურიზმზე დიდ იმედებს, ყურადღება მიმართეს საერთაშორისო ტურიზმზე, ამასვე უკავშირებდნენ საგადამხდელო ბალანსის აქტივიზაციას, ფინანსური წონასწორობის მიღწევას და საბოლოოდ გრძელვადიან ეკონომიკურ აღმასვლას.[2]

ტურიზმის სტატისტიკის განვითარება პირდაპირპროპორციულ კავშირშია ტურიზმის აღმავლობასთან. ინოვაციური ტურისტული პროდუქტები , ახალი ტურისტული ლოკაციები უფრო მეტად ზრდის მისი აღრიცხვის აუცილებლობას. ტურისტული სექტორის პროგრესი ასტიმულირებს სტატისტიკოსებს შექმნან აღრიცხვისა და გაანგარიშების სისტემები, გაფართოვონ კვლევის არეალი და ყოვლისმომცველი გახადონ იგი. მარტივი სააღრიცხვო ოპერაციები XX საუკუნის 60-იან წლებში რთულ სისტემად გარდაიქმნა , რაც გაეროს ანსამბლეის მიერ მიღებულმა კოლონიური ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციამ გამოიწვია.

[2]https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika.pdf

მიგრაციული ელემენტების დამატებამ გამოსაკვლევი წრის გაფართოება შეძლო და ტურიზმის სტატისტიკა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

დღევანდელ მსოფლიოში ტურიზმის სტატისტიკა საკითხთა დიდ წრეს იკვლევს. იგი ძირითადად ეხება საერთაშორისო ტურიზმის, ქვეყნის ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შეფასებას.ტურიზმის სტატისტიკის, ისე როგორც ყოველი დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობა განპირობებულიამისი შესწავლის ობიექტით, საგნითა და მეთოდებით. ზოგადად, სტატისტიკის, როგორც მეცნიერებისშესწავლის ობიექტია საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები. ტურიზმის სტატისტიკის შესწავლის ობიექტს კი ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენები და პროცესები წარმოადგენს.ყოველ მოვლენასა თუ პროცესს გააჩნია ორი მხარერაოდენობრივი და თვისებრივი. მოვლენათა რაოდენობრივ მხარეს შეისწავლის სტატისტიკა, მაგრამ არა თვისებრივის გარეშე, არამედ მასთან ერთად.

ტურიზმის სტატისტიკას, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ მეცნიერებას, გააჩნია თავისებურებები , რომელთა შესწავლა და ანალიზი მნიშვნელოვანია ტურიზმის სწორად გააზრებისთვის. პირველი თავისებურებაა , ის რომ ტურიზმის სტატისტიკისთვის მნიშვნელოვანია მოვლენის რაოდენობრივი შესწავლა , რაშიც იგულისხმება , მაგალითად: ტურისტების რიცხოვნობა კონკრეტული პერიოდისთვის, ტურისტების განაწილება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ესენია: სქესი, ასაკი და სხვა. იმის გათვალისწინებით რომ სტატისტიკისთვის რაოდენობრივ მხარესთან ერთად მნიშვნელოვანია თვისებრივი მხარეც , ტურიზმს სტატისტიკა განიხილავს არა მხოლოდ ეკონომიკურ , არამედ სოციალურ ჭრილშიც. ტურიზმის სტატისტიკის მასშტაბურობიდან გამომდინარე კვლევა მიმდინარეობს შიდა და გარე ტურიზმისთვის ერთნაირად. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას , რომ სახელმწიფო თანაბრად ზრუნავს ეროვნულ და საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკის განვითარებაზე.

მეორე თავისებურება დაკავშირებულია ტურიზმის ინდუსტრიის სწრაფ ცვლილებასა და განვითარებასთან. ტურისტულ მოვლენებს შორის თანაფარდობა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში , ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ლოკაციებზე ,

რეგიონებში , ქალაქებში და ა.შ. ეს თავისებურება ქმნის იმის აუცილებლობას რომ ნებისმიერი ტურისტული აქტივობა რაოდენობრივად შეფასდეს სხვადასხვა ჭრილში , სხვადასხვა დროის და ადგილის მიხედვით. მაგალითად , ერთი კონკრეტული ფირმის მიერ ტურისტული მომსახურეობის გაწევის რაოდენობრივი შეფასება მეორე კვარტლის მეორე ნახევარში.

მესამე თავისებურება გამომდინარეობს ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების და პროცესების არსიდან. ტურიზმის სტატისტიკა სწავლობს საზოგადოებრივი მოვლენების რაოდენობრივ მხარეს ისე რომ არ მიჯნავს თვისებრივ მხარეებს. ეს ამ თავისებურებას უფრო მრავალფეროვანს და რთულს ხდის , რადგან ტურისტული მოვლენა მრავალი სახისაა და სხვადასხვა დროის პერიოდში მათი რაოდენობა საგრძნობლად იცვლება. ტურიზმის სტატისტიკა არ არის შეზღუდული მოგზაურობის რაოდენობრივი მხარის შესწავლის დროს , რაც გამოიხატება იმაში რომ ამ მეცნიერების კვლევის ობიექტს წარმოადგენს არა მხოლოდ , ტურისტების გადაადგილება დასვენების და რეკრეაციის მიზნით , არამედ ტურისტულ ნაკადებს აღრიცხავს სხვა ჭრილშიც , მაგალითად : ბიზნესი, მეგობრების და ნათესავების მონახულება , კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება , სამედიცინო მიზანი , რელიგიური ადგილების მონახულება და სხვა. როგორც ვხედავთ ტურიზმის სტატისტიკა ინფორმაციულობის თვალსაზრისით ყოვლისმომცველია.

ტურიზმის სტატისტიკის ამოცანები შეიძლება დავყოთ , როგორც ზოგად ისე სპეციფიკური დარგის ამოცანებად.

ზოგადი ხასიათის ამოცანებს მიეკუთვნება:[3]

1 . ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა დაპროცესების რაოდენობრივი პარამეტრების დადგენა;

2. ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა დაპროცესების სტრუქტურის შესწავლა;

[3]https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika.pdf

3 . ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა დაპროცესების დახასიათება დინამიკაში;

4 . ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა დაპროცესების ურთიერთკავშირის შესწავლა;

5 . მსოფლიო ტურისზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების დანერგვა;

6. სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების (ნაერთიინფორმაციის ობიექტურობის, აქტუალობის, გამჭვირვალობის, პირველადი მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის) დაცვა.

გაეროს მიერ დამტკიცებული სტატისტიკის 10 ფუნდამენტური პრინციპი და ევროპელ სტატისტიკოსთა ნორმების კოდექსი წარმოადგენს ოფიციალური სტატისტიკისორგანიზების უნივერსალურ წესებს, რომელთა დაცვადააჩქარებს სტატისტიკის განვითარებას და მის ჰარმონიზებას როგორც ქვეყნის, ისე მსოფლიო მასშტაბით.

ევროპული სტატისტიკის კოდექსი სავალდებულოა ევროკავშირის ყველა ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკის ხელმძღვანელებისათვის და ამ კოდექსს ისინი პრაქტიკაში სრულად ახორციელებენ.

ოფიციალური სტატისტიკის ევროპული კოდექსი 3 მიმართულებით მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

ინსტიტუციონალური გარემოსტატისტიკური პროცესები

1.პროფესიული დამოუკიდებლობა 1.საიმედო მეთოდოლოგია

2.მონაცემთა შეგროვების მანდატი 2.სათანადო სტატისტიკური პროცედურები

3.რესურსების ადეკვატურ 3.რესპონდენტებზე გადაჭარბებული ტვირთის არდაწესება

4.ხარისხის ვალდებულება

5.სტატისტიკური კონფიდენციალურობა

6.მიუკერძოებლობა და ობიექტურობა

სტატისტიკური პროცესები

1.საიმედო მეთოდოლოგია

სტატისტიკური პროდუქცია

1.გადასახადის ეფექტიანობა

2.შესაბამისობა

3.აკურატულობა და სანდოობა

4.დროულობა და პუნქტუალურობა

5.თანმიმდევრულობა და შედარებითობა

6.ხელმისაწვდომობა და სიცხადე

ევროკავშირის ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ასევე ევროპული სტატისტიკური სისტემის ხარისხის დეკლარაციით და ახდენს ამ დეკლარაციის რეალიზებას პრაქტიკაში.

ეს დეკლარაცია მოიცავს შემდეგ 10 პრინციპს:

მომხმარებელზე კონცენტრირება , მუდმივი სრულყოფა , პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებული ვალდებულებები ,ინფორმაციის ხელმისაწვდომობა,პარტნიორობა ევროპულ სტატისტიკურ სისტემაში და მის გარე მონაცემების მიმწოდებელთა საჭიროებების პატივისცემა ,ლიდერობის განზრახვა, ხარისხის სისტემატური კონტროლი , ეფექტური და ეფექტიანი ღონისძიებები და პროგრამები , თანამშრომელთა საჭიროებების დაკმაყოფილება და მათი მუდმივი განვითარება.

ტურიზმის სტატისტიკის სპეციფიკურ ამოცანებს მიეკუთვნება : [4]

1. ტურიზმის სფეროში ახალი საერთაშორისო სტანდარტებს დაქვემდებარებული საკლასიფიკაციოსისტემის შემოღება-დამუშავება;

2. ტურიზმის სფეროს ძირითადი ობიექტების: სასტუმროების, ტურისტული ბიუროების,დასასვენებელისახლების, კურორტებისა და სხვა ტიპის ობიექტების სუბრეგისტრის შექმნა.

[4]დ. კბილაძე, ნ. აბესაძე. სტატისტიკურიაღრიცხვისპრობლემები საქართველოსტურიზმში. საერთაშორისოკონფერენციისშრომებისკრებული. გორი. 2009

3. ტურიზმის ძირითადი ობიექტების (სასტუმროები, ტურისტული ბიუროები, კემპინგები, დასასვენებელი სახლები) სტატისტიკურად დახასიათებისათვისსაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსისტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის დანერგვისდასრულება როგორც მოკლევადიანი, ისე წლიურიპერიოდულობის ანგარიშებისათვის;

4.განთავსების საშუალებებში სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებამათში მცხოვრები ტურისტების გამოკითხვის გზით,მათი საქართველოში ყოფნის დროის, მიზეზებისადა წარმომავალი ქვეყნების დადგენის მიზნით;

5. ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული ტურისტების აეროპორტებში და სხვა გამშვებ პუნქტებში საცდელი სტატისტიკური გამოკვლევებისრეგულარულად ჩატარება საქართველოში გაწეული ფინანსური ხარჯების შესაფასებლად საგადამხდელო ბალანსის შედგენის სრულყოფის მიზნით;

6. შიდა ტურიზმის შეფასებისათვის სპეციალურადორგანიზებული შერჩევითისტატისტიკური გამოკვლევების რეგულარული ჩატარება;

8. ტურიზმის ხვედრითი წილის დადგენა ქვეყნისმთლიან შიდა პროდუქტში და საბიუჯეტო შემოსავლებში და ა. შ.

1.2 ტურიზმისსტატისტიკურიკვლევისთანამედროვემეთოდოლოგია

ტურიზმის სექტორი ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს , შესაბამისად საჭიროა მისი პოტენციალის, კონკურენტუნარიანობის, ზრდის პერსპექტიულობის კვლევა და სტატისტიკური შესწავლა. ასევე გასათვალისწინებელია ამ სექტორის პოტენციალი სამუშაო ძალის ზრდასა და მუშახელის გადამზადების საკითხში. მასშტაბური სურათის შეფასება და ტურიზმის მოცულობის განსაზღვრა შესაძლებელია თანამედროვე მეთოდოლოგიით, რომელსაც საქართველოს ტურიზმის სექტორიც აქტიურად იყენებს.ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგია გულისხმობს იმ ხერხებისა და

შეფასების სისტემურ გაერთიანებას, რომელიც მთლიანობაში ქმნის ტურიზმის სექტორის კვლევის თეორიულ საფუძველს.

ტურიზმის სტატისტიკის ინდიკატორები ადრეულ პერიოდში ტრადიციულად მიმართული იყო ტურისტული ნაკადების აღწერაზე და ტურიზმის მოცულობის შეფასებაზე, თუმცა თანამედროვე სამყაროში საჭირო გახდა ტურიზმის ყველა მახასიათებლის შესწავლა და რაოდენობრივად გამოსახვა, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც გამოიწვია მეთოდოლოგიური რევოლუცია ტურიზმში.

ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგიურმა მიდგომებმა წლების განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს . თანამედროვე სამყაროში , სადაც ყოველი დღე სიახლეებითა და ინოვაციებითაა სავსე , საჭირო გახდა ტურიზმის სტატისტიკური კვლევის ძირეული ცვლილება და პრინციპულად განსხვავებული მეთოდოლოგიის დანერგვა. თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებთან ადაპტაცია ტურიზმის სტატისტიკამ , როგორც მეცნიერებამ, წარმატებით განახორციელა. ახალი კვლევის მეთოდები საშუალებას აძლევს ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერებს დიდი მოცულობის ინფორმაციის მოძიების , დაჯგუფების და გაანალიზების , ასევე სტატისტიკური ინფორმაცია გახდა უფრო მეტად შედარებადი და მრავლისმომცველი, შესაძლებელი გახდა მონაცემების გადასინჯვა და კორექტირება. თანამედროვე მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევები უფრო მეტად სანდო გახდა და შესაბამისად მოცემული ინფორმაციით დაინტერესებულსუბიექტებს ანალიზის გაფართოების საშუალებაც მისცა.

ტურიზმის სტატისტიკის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით , შეგვიძლია გამოვყოთ ტურიზმის ძირითადი ტიპები, რომლებიც შესაბამისად ტურიზმის სტატისტიკის ობიექტს წარმოადგენენ:[5]

[5]აბესაძენ, ქინქლაძე რ, ჩიტალაძე ქ, სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბილისი 2018 ,გვერდი 22

1. **შიდა ტურიზმი,** რომლის დროსაც ქვეყნის მცხოვრებთა მოგზაურობა ხორციელდება იმავე ქვეყანაში.

2. **შემომსვლელი ტურიზმი** – როდესაც მოგზაური პირი არ არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტი.

3. **გამსვლელი ტურიზმი,** რომლის დროსაც მოცემული ქვეყნის მცხოვრები მოგზაურობს სხვა რომელიმე ქვეყანაში.

ტურიზმის ტიპებიდან გამომდინარე, ტურიზმის კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს:

1. ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე ტურიზმი, რომელიც მოიცავს შიდა ტურიზმსა და შემომსვლელ ტურიზმს.

2. ეროვნული ტურიზმი, რომელიც მოიცავს შიდა ტურიზმსა და გამსვლელ ტურიზმს.

3. საერთაშორისო ტურიზმი, რომელიც მოიცავს შემომსვლელ და გამსვლელ ტურიზმს.

ტურიზმის სუბიექტები არიან ვიზიტორები, რომლებიც რჩებიან ადგილზე ერთ ღამეზე მეტი ვადით და ერთდღიანი ვიზიტორები (იმავე დღის ვიზიტორი). ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

1. საერთაშორისო ვიზიტორები:

ა) ტურისტები ღამის თევით;

ბ) ერთდღიანი ვიზიტორები.

2. ქვეყნის შიდა ვიზიტორები:

ა) ტურისტები ღამის თევით;

ბ) ერთდღიანი ვიზიტორები.

საერთაშორისო ვიზიტორების კატეგორიაში არ ჩაითვლებიან:

ა) პირები, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში შემოდიან,როგორც მიგრანტები;

ბ) პირები, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყნის საზღვართან ახლოს და მუშაობენ სხვა ქვეყანაში;

გ) დიპლომატები, საელჩოს მუშაკები და სამხედრომოსამსახურეები;

დ) ლტოლვილები, დევნილები;

ე) ტრანზიტული წესით მოგზაურნი.

შიდა ვიზიტორის კატეგორიაში არ შედიან:

1.პირები, რომლებიც მოგზაურობენ სხვა ქვეყანაშითავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ორგანიზების მიზნით;

2. პირები, რომლებიც მოგზაურობენ მოცემულ ქვეყანაში, სამუშაოს მოსაძებნად დასაქმებისათვის;

3. მოცემული ქვეყნის ფარგლებში დროებით სამუშაოს საძებნელად წასული პირები;

4. პირები, რომლებიც რეგულარულად მოძრაობენმუდმივ საცხოვრებელ ადგილსა დასამუშაო ანსასწავლო ადგილებს შორის;

5. ლტოლვილები;

6. სამხედრო სწავლებაზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეები.

მგზავრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით გამოყოფენ მოგზაურობის ბაზრისრამდენიმე სეგმენტს:

1. მოკლევადიანი გამგზავრება (1-3 დღით, ღამისთევით) განკუთვნილია დასვენებისა და გართობისათვის, აგრეთვე საქმიანი მიზნისათვის; ამავე ჯგუფში (4-7 დღით, ღამისთევით) გაერთიანებულია გამგზავრება სხვადასხვა მოტივებით, რომელიც ხორციელდება დამატებითი შვებულების დროს;

2. საშუალო ხანგრძლივობის მოგზაურობა (8-28 დღით, ღამისთევით) ხორციელდება შვებულებაში ყოფნისას ძირითადად დასვენების მიზნით.

3. გრძელვადიანი ტურიზმი (29-31 და 92-365 დღით, ღამისთევით) ძირითადად განკუთვნილია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის, ერთი მხრივ, გართობისა და დასვენებისათვის, და მეორე მხრივ, საქმიანი და პროფესიული მიზნისათვის.[6]

არსებობს ტურიზმის რამდენიმე სახე, რომელთა მიხედვითაც ტურისტული პროდუქტების შექმნა წარმოადგენს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს. განვმარტოთ რამდენიმე მათგანი:

სოციალური ტურიზმი-ევროპის ქვეყნებში, იგი ასოცირებულია დაბალი შემოსავლების მქონე იმ ადამიანებთან, რომლებიც მოკლებული არიან მაღალი ხარისხის ტურისტული

[6]აბესაძენ, ქინქლაძე რ, ჩიტალაძე ქ, სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბილისი 2018

მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას. მოქალაქეების ეს კატეგორიასაჭიროებს სოციალური ხასიათის შეღავათებს. მათ მიეკუთვნება მრავალშვილიანი ოჯახები, დაბალანაზღაურებადი მომსახურე პერსონალი, პენსიონერი და ა.შ.

სპეციალიზირებული და სათავგადასავლო ტურიზმი-ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტურიზმის სახეობაა, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოშიც, მას

საფუძვლად შეიძლება დაედოს ნებისმიერი სახის გატაცება თუ სურვილი. მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ არქეოლოგიური გათხრები, რაც შეეხება სათავგადასავლო ტურიზმს ის მოიცავს-ლაშქრობა და ალპინიზმი, ნადირობა, თევზოაბა და ა.შ. სპეციალიზირებული და სათავგადასავლო ტურიზმისათვის საჭიროამცირერიცხოვანი საგანგებო ობიექტები. აქ უნდა მუშაობდნენ კვალიფიციური გიდები, რათა უსაფრთხოების დონე იყოს დაცული.

სასოფლო ანუ აგრარული ტურიზმი- ითვალისწინებს განთავსებას ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ სახლებში, კვებას ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით და მონაწილეობას სოფლის ცხოვრებაში. ადგილობრივი მკვიდრნი სოფლად აშენებენ, ფლობენ და განკარგავენ ტურისტულ ობიექტებს, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯებიდან იღებენ პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას. სასოფლო ტურიზმის განვითარება არ ითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, მაგრამ საჭიროებს სრულყოფილ დაგეგმვას და პროგრამირებას. ადგილობრივმა მოსახლეობამ

უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია , სოფელში ახალი ტურისტული ობიექტებიც აშენდეს. სოფლისა და აქტიური დასვენების ტურიზმი დღეს შეესაბამება იმას, რისი შეთავაზებაც ახლავე შეუძლია ტურიზმს, როგორცდარგს-ბუნებრივი რესურსებით, სტუმართმოყვარეობით, ადგილობრივი ტრადიციებითდა ადეკვატური განთავსების შესაძლებლობებით. ქალაქისა და მასობრივი ტურიზმისაგანგანსხვავებით, მათი მოქმედების არეალი საშუალებას იძლევა მოხდეს ტურისტულისივრცის სრული შევსება განთავსების საშუალებათა სიმცირის მიუხედავად, თუმცატურიზმის კომპონენტთა როლი განხილული უნდა იქნას უფრო მასშტაბურად დასტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით.

ეკოტურიზმი-ეს არის ისეთი მოგზაურობა ტურისტებისა, რომლებსაც გარემოსადმითავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვს გათვითცნობიერებული. ტერმინი„ეკოტურიზმი" 1983 წელს დამკვიდრდა. ის მექსიკელმა ეკონომისტ-ეკოლოგმა ჰექტორცებალოს-ლასკურეინმა შემოიღო. ეკოტურიზმს იგი უწოდებდა მოგზაურობას.„შედარებით ხელუხლებელად დაუბინძურებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე სპეციფიკურიმიზნით, კერძოდ, განათლებისთვის, ბუნების პეიზაჟებით, მცენარეებითა და ველურიცხოველებით აღტაცებისა და ტკობობისთვის, ასევე ამ ტერიტორიების კულტურულითავისებურებების შესასწავლად[7]"

[7]იხ. http://mastsavlebeli.ge/?p=1084

თავი 2.
საქართველოსრეიტინგიგლობალურიინდექსებისმიხედვითდატურიზმისგანვითარებისძირითადიტენდენციები

2.1 .ტურიზმისგანვითარებისძირითადიტენდენციებისაქართველოში

საქართველოშიტურისტთარაოდენობისტენდენციამზარდია. უკანასკნელიმონაცემებითსაქართველოშიგანხორციელდა 9,4 მილიონისაერთაშორისოვიზიტი, საიდანაც 5,1 მილიონიტურისტულივიზიტიიყო.

დიაგრამა 1

15 წლისდაუფროსიასაკისსაქართველოსარარეზიდენტივიზიტორებისმიერ განხორციელებულივიზიტებისსაშუალოთვიურირაოდენობა, ათასი



წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორცვხედავთ 15 წლისდაუფროსიასაკისსაქართველოსარარეზიდენტივიზიტორებისმიერსაშუალოდთვიურადგანხორციელებულიქნა 643,9 ათასივიზიტი, რაც 7,2%-ითმეტია 2018 წლისდა 47%-ით 2015წლისდონეზე.საინტერესოა, რომელიასაკობრივი ჯგუფისჭარბობსვიზიტორთაშორის.

დიაგრამა 2

15 წლისდაუფროსიასაკისსაქართველოსარარეზიდენტივიზიტორებისსაშუალოთვიურირაოდენობისგანაწილებაასაკობრივიჯგუფებისმიხედვით,ათასი



წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დინამიკაშიასაკობრივინიშნისმიხედვით ტურისტთა განაწილებისას არსებითიცვლილებები არგანხორციელებულა, ისევე როგორც განვლილ წლებში, 2019 წელსაც საქართველოსყველაზემეტი, 46%, 31-50 წლისასაკობრივიჯგუფის ვიზიტორები ესტუმრნენ, შემდეგ ყველაზე აქტიურია 15-30 წლამდე ასაკობრივიჯგუფი, დინამიკაშისულმცირედითიზრდება 51-70 წლისასაკობრივიჯგუფისვიზიტორთარაოდენობა.

საქართველოსტურიზმისეროვნულიადმინისტრაციის მონაცემებით, ვიზიტების 73,8% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ საჰაეროგზითგანხორციელებული ვიზიტების 54,6% პირველვიზიტს წარმოადგენდა, ხოლოსახმელეთოსაზღვრისგადმოკვეთისას ვიზიტების 83% განმეორებითიიყო, რაც იმითააგანპირობებული, რომსაქართველოკვლავყველაზემეტადმიმზიდველიამეზობელიქვეყნებისრეზიდენტებისა თვის, რაცნათლადჩანსცხრილიდან1.

ცხრილი 1

საქართველოსვიზიტისპრაქტიკარეზიდენტობისმიხედვით

	აზერბაიჯანი	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი	ცენტრალურ იდააღმ. ევროპა	სხვაევროპა	სხვაქვეყნები
ესჩემიპირველივიზიტია	5.4%	27.8%	28.2%	0.8%	54.3%	57.4%	71.1%
განმეორებითივიზიტი	94.6%	72.2%	71.8%	99.2%	45.7%	42.6%	28.9%
ჯამი	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1-ის მიხედვით მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების უმრავლესობისთვის განმეორებით ვიზიტს წარმოადგენს მიმდინარე ვიზიტი, მაგალითად სომხეთის რეზიდენტებისთვის ეს მაჩვენებელი 99,2 %, აზერბაიჯანისთვის 94,6 %. პირველი ვიზიტი აზერბაიჯანიდან განახორციელა ვიზიტორების 5,4 %-მა , თურქეთიდან 27,8%-მა, რუსეთიდან -28,2%-მა, ხოლო სომხეთიდან 0,8 %. რაც შეეხება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას აქ მონაცემები სხვაგვარია, 54,3% რეზიდენტების პირველად იმოგზაურეს საქართველოში, ხოლო 45,7 %-სთვის ეს ვიზიტი განმეორებით იყო. დანარჩენი ევროპის ქვეყნებში პირველ ვიზიტზე 57,4% ვიზიტორებისა იმყოფებოდა, ხოლო განმეორებით 42,6 %.

საქართველოშიტურისტებიძირითადადჩამოდიანდასვენებისმიზნით,რასაც მოწმობს მაღალიხვედრითიწილიმთლიან ტურისტთარაოდენობაში, 43%-იმეგობრებისა და ნათესავებისმოსანახულებლად 2019 წელსიმყოფებოდატურისტთა საერთორაოდენობის 19%.პროფესიულიდაეკონომიკურისაქმიანობისმიზნით ქვეყანას ესტუმრავიზიტორების 11% (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

საერთაშორისო ვიზიტორების პროცენტული განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით 2019 წელს



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უნდა აღინიშნოს, რომსხვადასხვაქვეყნისრეზიდენტებისმიერ საქართველოშიჩამოსვლა სხვადასხვა მიზნით განხორციელდა.(იხ. ცხრილი 2)გართობა, დასვენებისმიზნით მეზობელქვეყნებსშორისყველაზემეტიტურისტისაქართველოს ესტუმრათურქეთიდან და შემდეგრუსეთიდან. ახლობლებისა და მეგობრებისმონახულებით კილიდერობს აზერბაიჯანი, რომლის წილი ტურისტთა საერთორაოდენობაში 30,8%-ია, განათლების მიღებისმიზნით ჩამოსულთა რაოდენობაშილიდერობს სომხეთი, რომლის რეზიდენტთა წილი ტურისტთა საერთორაოდენობის 30,5%-სშეადგენს.ამქვეყნებიდანშოპინგისათვის ყველაზემეტი , 8.9%, აზერბაიჯანიდანჩამოდის.

ცხრილი 2

	აზერბაიჯანი	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი	ცენტრ. დააღმ. ევროპა	სხვა ევროპა	სხვა ქვეყნები
დასვენება, გართობა,რეკრეაცია	20%	65.9%	49.4%	8,8%	70,2%	64,4%	74,2 %
მეგობრების, ნათესავებისმონახულება	30,8%	9%	18,9%	28,4%	8,6%	23,6%	4,8%
განათლებისმიღება	18,1%	8,4%	24,3%	30,5%	5,2%	1%	2,5%
მკურნალობა, გაჯანსაღება	12,2%	4,5%	0,6%	18,2%	0,2%	0,1%	0,4%

რელიგია, მომლოცველობა	3,2%	11,8%	4,4%	12,3%	14,6%	9,9%	15,7 %
შოპინგი	8,9%	0%	1,5%	1,3%	0,7%	0,1%	0,2%
ტრანზიტი	0,8%	0,2%	0,3%	0,1%	0,4%	0,9%	1,9%
პროფესიული , ეკონომიკურისაქმიანობა	1%	0,2%	0,2%	0,0%	0%	0%	0,2%
სხვაპირადიმიზნები	5,0%	0,1%	0,4%	0,4%	0%	0%	0,1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წელსსაერთაშორისოშემომსვლელიტურიზმისდროს, ტურისტთა 74.8%-მაქართულისამზარეულო დაღვინოდააგემოვნა, კულტურულიდაისტორიული ძეგლებიმოინახულა 45,5%-მა, 60,6%-მაკიიშოპინგა, რელიგიურიადგილებიმოინახულამათმა 12,4%-მა.

დიაგრამა 4

საერთაშორისო ტურისტების მიერ 2019 წელს განხორციელებული ვიზიტების დროს აქტივობების პროცენტული განაწილება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინტერესოა რომელირეგიონებიწარმოადგენს მიმზიდველს საერთაშორისოშემომსვლელი ტურისტებისათვის.როგორც ტურიზმის ეროვნულიადმინისტრაციის მონაცემებიცხადყოფს 2019 წელს ტურისტთაუმრავლესობამ, 54%-მა, მოინახულათბილისი 54,6 %, აჭარა 30,2%-მა,

ქვემოქართლი 17%-მა, სამცხე-ჯავახეთი დაკახეთიშესაბამისად 6,6% და 6,5%-მა (იხ. დიაგრამა 5).თბილისის შემდეგყველაზემეტი ტურისტიეწვიაბათუმს, 28,9%, მარნეულს 11,4%. ყაზბეგს 8,3% მცხეთას 6.8% ქუთაისს 4,6%, გუდაურს 4.5% და ა.შ. (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 6



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურისტების 34,2% ღამეგაათია სასტუმროში, 22,9% მეგობრის, ანნათესავის სახლში, 17,8% იქირავაბინა, ხოლოსასტუმროსახლით ანჰოსტელითისარგებლა 13,5%-მა.საშუალოდ, 2019 წელს ვიზიტორებმა საქართველოშიგაათიეს 4,1 ღამე. უფროდეტალურად ჩაშლილისურათიშემდეგია: 34,2%-მაღამე არგაათია, 1 ღამეიმყოფებოდა 11,2%, 2-3 ღამედარჩა 17%, 4-5 ღამე გაათენა 17%-მა, 6-7 ღამე 10,2% და 8-14 მდეკი 11,6%-მა.ვიზიტორების 42,1%-მაიმოგზაურა ოჯახისწევრებთანანნათესავებთანერთად, ხოლო 28,9% მარტო, მეგობრებთანერთად კისაქართველოშიჩამოვიდა 25,7%.

უნდააღინიშნოს, რომ 2019 წელს საერთოდ ტურისტულიხარჯებისმოცულობამშეადგინა 8 511 534 927 ლარი, ერთივიზიტირის მიერ გაწეული ხარჯი კიიყო 1102 ლარი, ტურისტებმა ყველაზე მეტიხარჯიგაწიეს საკვებზე და სასმელზე, მისი წილი საერთო დანახარჯებში 27,5%-ია (იხ. ცხრილი 3)

ცხრილი 3

დანახარჯებისკომპონენტები	ჯამშიყველავიზიტორისმ იერგაწეულიტურისტულ იხარჯი	წილიმთლიანდანახარჯში
საკვებიდასასმელი	2,343,421,279	27,5%
განთავსებისსაშუალებები	2,021,228,953	23,7%
შოპინგი	1,800,270,650	21,2%
რეკრეაცია,კულტურულიდასპ ორტულიაქტივობები	1,528,705,888	18%
ადგილობრივიტრანსპორტი	644,544,830	7,6%
სხვადანახარჯები	173,362,328	2%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საგრძნობია ირანიდანტურისტულინაკადებისმკვეთრიზრდა დინამიკაში, თუმცა 2019 წელს 2018 წელთან შედარებითშემცირებულიაირანიდანშემოსულთარიცხვი (იხ. ცხრილი 4)

ცხრილი 4

15
წლისდაუფროსიასაკისსაქართველოსარარეზიდენტივიზიტორებისსაშუალოთვიურირაოდ ენობისგანაწილებამოქალაქეობისქვეყნებისმიხედვით, ათასი

	2015	2016	2017	2018	2019
აზერბაიჯანი	70.7	65.8	80.6	88.2	92.9
რუსეთისფედერაცია	52.1	59.5	79.7	100.4	101.9
სომხეთი	74.7	71.3	79.1	76.7	80.5
თურქეთი	61.0	55.4	56.1	63.6	66.9
საქართველო	30.2	29.5	31.4	32.5	33.0
უკრაინა	9.3	11.2	12.6	13.3	15.7
ისრაელი	4.4	6.9	9.3	12.8	16.6
ირანი	1.6	9.9	21.8	22.4	10.8
ევროკავშირისწევრიქვეყნები	15.9	17.4	21.5	29.6	37.2
სხვაქვეყნები	15.9	23.3	34.5	39.9	50.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუგადავხედავთ დინამიკაშისაერთაშორისოშემომსვლელთამონაცემებს, დავინახავთ, რომსაგრძნობლადიზრდებარუსეთიდანშემოსულივიზიტორებისრაოდენობა. 2019 წელს 2015 წელთანშედარებით რუსეთისრეზიდენტებისრიცხვისზრდისტემპმაშეადგინა 194%. მაღალიმაჩვენებლებიდაფიქსირდა ირანიდან, ისრაელიდანდაუკრაინიდანშემოსულივიზიტორებისშემთხვევაში. 2019 წელსმათი მაჩვენებლებიიმავეპერიოდისათვისშესაბამისადიყო 675% , 377%, და 168%.

2.2. გლობალურიინდექსებიდატურიზმისგანვითარებასაქართველოში

ტურიზმის მნიშვნელობა საკმაოდ დიდია დღევანდელ საქართველოში რაც განპირობებულია ამ დარგის უნარით დაეხმაროს ეკონომიკას და იქცეს ეკონომიკური დოვლათის დაგროვების მნიშვნელოვან წყაროდ. უნიკალური ისტორია, კულტურა, მრავალფეროვანი გარემო, ქართველებისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობის ტრადიცია და კიდევ უამრავი ფაქტორი განაპირობებს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს. თანამედროვე ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის ბუნებრივ რესურსებთან, მრავალფეროვან ტურისტულ ლოკაციებთან ერთად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

ტურისტული სერვისის განვითარებაზე ზრუნვა ,ტურისტული ინვესტიციების მოცულობის ზრდა , ტურისტული ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.დეტალური ინფორმაციის გაცნობა ქვეყნის სხვადასხვა სფეროს მაჩვენებლებზე შესაძლებელია გლობალური ინდექსების მეშვეობით , როგორიცაა , მაგალითად : გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი , ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აქვეყნებს 2004 წლიდან. მასში გაერთიანებულია მიკროეკონომიკური , მაკროეკონომიკური და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები. ინდექსი , მასში გაერთიანებულ ქვეყნებს ანიჭებს პოზიციებს და შესაბამის ქულებს , რის მიხედვითაც იქმნება ქვეყნების რეიტინგი. ინდექსი აფასებს ქვეყნების შესაძლებლობებს ადამიანური კაპიტალის, საფინანსო ბაზრების , სასაქონლო ბაზრების , ინოვაციური ტექნოლოგიების და სხვა კომპონენტების კონკურენტუნარიანობის მიხედვით. იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლის შესახებაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აქვეყნებს მონაცემებს წლების მიხედვით რაოდენობრივად განსხვავდება , მაგალითად 2019 წელს 141 ქვეყნის შესახებ გამოქვეყნდა მონაცემები , 2018 წელს -140 ქვეყნის, 2017 წელს- 137 ქვეყნის და ა.შ.

ანგარიში შედგება 110 -ზე მეტი ცვლადისგან , რომელთა შესახებ ინფორმაციის 2/3-ს ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების და შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები აწვდიან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წევრებს , ხოლო 1/3 ინფორმაციის მოიპოვება საერთაშორისო ორგანიზაციების საინფორმაციო ბაზიდან. ცვლადები დაყოფილია სხვადასხვა მიმართულებებად და თითოეული მათგანი შეიცავს გარკვეულ კომპონენტებზე ინფორმაციას. 2018 წლამდე ინდექსის შედგენა მეთოდოლოგიურად განსხვავდებოდა და არსებობდა 7 ქულიანი სისტემა , რომლის მიხედვითაც ფასდებოდა ქვეყნების მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგში 2018 წელს განხორციელდა მეთოდოლოგიური ცვლილება , რაც გულისხმობს რეიტინგიდან სხვადასხვა ინდიკატორების და კომპონენტების ამოღებას და მათ ჩანაცვლებას ახლით. ქვეყნების შეფასების 7 ქულიანი შკალა შეიცვალა 100 ქულიანით. 2019 წლის მონაცემებით მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი ქვეყნებს აფასებს 4 მიმართულებით , რომელიც მოიცავს 12 ინდიკატორს და მთლიანობაში 98 კომპონენტს , ესენია:

ხელსაყრელი გარემო	ადამიანური კაპიტალი	ბაზარი	ინოვაციური ეკოსისტემა
• ინსტიტუტები • ინფრასტრუქტურა • საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება • მაკროეკონომიკური სტაბილურობა	• ჯანდაცვა • უნარები	• სასაქონლო ბაზარი • შრომის ბაზარი • ფინანსური სისტემა • ბაზრის მოცულობა	• ბიზნესის დინამიურობა • ბიზნეს შესაძლებლობები

დიაგრამა 7_ზე მოცემულია 2012- 2019 წლებში საქართველოს პოზიცია მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით და შესაბამისი მინიჭებული ქულები.

დიაგრამა 7

საქართველოს პოზიციები მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგში



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგების მიხედვით

2018 წლამდე , როგორც უკვე აღვნიშნეთ , განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომა ჰქონდა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმს , ამის გათვალისწინებით საქართველოს პოზიცია 2012 წლიდან 2017 წლამდე უარსედება ყოველ წელს, 2017/2018 წლის მოხსენების მიხედვით ქვეყანა 67 პოზიციაზეა 137 ქვეყანას შორის , ხოლო 2018 და 2019 წელს მონაცემები უმჯობესდება.

სტატისტიკური კვლევის გაუმჯობესებისთვის შეგვიძლია შედარება გავაკეთოთ საქართველოს და დსთ-ს იმ ქვეყნების პოზიციების შესახებ , რომლებიც მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ფასდება. კვლევებში არ მონაწილეობს თურქმენეთი , უზბეკეთი და ბელარუსი. დიაგრამა 2_ზე გამოსახულია საქართველოსა და დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის პოზიციები წლების მიხედვით.

დიაგრამა 8



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგების მიხედვით

დიაგრამა 8- ზე მოცემული მონაცემების მიხედვით , 2010 წლიდან 2017 წლის ჩათვლით აზერბაიჯანი იკავებს წამყვან პოზიციას , 2018 და 2019 წლებში კი პირველ პოზიციაზეა რუსეთი. 2010 -2017 წელს საქართველო მე-4 პოზიციაზეა , 2018 წელს მე-3 პოზიციაზე გადადის და უსწრებს შემდეგ ქვეყნებს : აზერბაიჯანს, სომხეთს , ყაზახეთს , ყირგიზეთს და ტაჯიკეთს. 2019 წელს მე-5 პოზიციით საქართველო უფრო კონკურენტუნარიანი ქვეყანაა , ვიდრე ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.

მნიშვნელოვანია იმ ინდიკატორების დეტალური განხილვა და ქულების განსაზღვრა , რომელსაც იყენებენ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის შესადგენად. დიაგრამა 5-ზე მოცემულია 12 ინდიკატორი საქართველოსთვის , რომლის მიხედვითაც ,ჩვენმა ქვეყანამ 2019 წელს დაიკავა 74 პოზიცია მსოფლიო რეიტინგში.

დიაგრამა 9

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის ინდიკატორები საქართველოსთვის



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგების მიხედვით

საკითხის უკეთ გასაგებად მოცემული 12 ინდიკატორიდან დეტალურად განვიხილეთტურიზმის სექტორისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინდიკატორი , ინფრასტრუქტურა. სწორედ ამიტომ შევისწავლეთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2019 წელს ინფრასტრუქტურული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები .

ინფრასტრუქტურული კუთხით კარგი მდგომარეობაა შემდეგ მახასიათებლებზე:

1)ელექტრიფიცირების დონე - 100 ქულა

2)ელექტროენერგიის გადაცემა/ განაწილების დანაკარგი - 97, 1 ქულა

3)სახიფათო სასმელი წყლის ზემოქმედება - 92,1 ქულა

4)საგზაო კავშირების ხარისხი - 77, 1 ქულა

5)წყლის მომარაგების საიმედოობა - 67, 5 ქულა

6)საჰაერო ტრანსპორტით მიმოსვლის ეფექტიანობა - 56, 2 ქულა

საშუალო მაჩვენებლებია შემდეგ მახასიათებლებში:

1)მატარებლების მომსახურების ეფექტი - 48,9 ქულა

2)გზების ხარისხი - 46, 6 ქულა

3)სარკინიგზო გადატვირთულობა - 46, 2 ქულა

4)საზღვაო პორტის მომსახურების ეფექტი - 45, 9 ქულა

5)აეროპორტთან დაკავშირების ხარისხი - 40,6 ქულა.

დაბალი მაჩვენებელი გვაქვს კონტეინერულ გადაზიდვებთან დაკავშირებულ მომსახურებაში ,6,7 ქულა და 141 ქვეყანას შორის მე-100 პოზიცია.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ზომავს ქვეყნების ეკონომიკის თავისუფლების ხარისხს . იგი შეიქმნა 1995 წელს , The Heritage Foundation _ისა და Wall Street Journal_ის მიერ. ინდექსის შემქმნელები თვლიდნენ რომ ეკონომიკური თავისუფლების მაღალი ხარისხი ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. მოცემული ინდექსი ყოველწლიურად ქვეყნდება და იკვლევს ქვეყნებს 4 მიმართულებით , შედგება , ესენია:

კანონის უზენაესობა	მთავრობის მოცულობა	რეგულაციების ეფექტიანობა	ღია ბაზარი
• საკუთრების უფლებები • სასამართლოს ეფექტიანობა • მთავრობის სამართლიანობა	• საგადასახადო ტვირთი • მთავრობის დანახარჯები • ფისკალური თავისუფლება	• ბიზნესის თავისუფლება • სამუშაო ძალის თავისუფლება • მონეტარული თავისუფლება	• სავაჭრო თავისუფლება • საინვესტიციო თავისუფლება • ფინანსური თავისუფლება

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მოწინავე ადგილი დაიკავოს მსოფლიო რუკაზე ეკონომიკური თავისუფლების მხრივ ,შესაბამისად პოლიტიკის გამტარებლები ცდილობენ ყველა იმ ცვლადის გაუმჯობესებას , რომელიც თავისუფალ ეკონომიკურ გარემოს

განაპირობებს. დიაგრამა 9-ზე გამოსახულია საქართველოს პოზიციები 2010-2020 წლებში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით.

დიაგრამა 10

საქართველოს პოზიცია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით 2010-2020 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგების მიხედვით

როგორც დიაგრამა 10-ის მონაცემებიდან ჩანს, 2020 წელს საქართველომ საუკეთესო შედეგს მიაღწია, 4 პუნქტით დაწინაურდა , რეიტინგში მე-12 ადგილას გადმოინაცვლა , შესაბამისად გაუსწრო ისეთ ქვეყნებს , როგორიცაა გერმანია , ლატვია , ჩეხეთის რესპუბლიკა, სომხეთი , ბულგარეთი , მაკედონია და სხვა. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ევროპაში 2020 წელს ყველაზე უფრო თავისუფალი ეკონომიკა აქვს შვეიცარიას, მეორე ადგილზეა ირლანდია , ხოლო მე-3 ადგილზე გაერთიანებული სამეფო.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევის მიზანია 4 ძირითადი მიმართულების შესწავლა მისი შემადგენელი ცვლადების მიხედვით , საქართველოსთვის ეს ცვლადები და შესაბამისად მინიჭებული ქულები, 2020 წლისთვის შემდეგნაირად შეიცვალა, გაუმჯობესდა :

საკუთრების უფლება +2,7 პუნქტით

სასამართლოს ეფექტიანობა +3,3 პუნქტით

მთავრობის სამართლიანობა +6,3 პუნქტით

მონეტარული თავისუფლება +2,3 პუნქტით

ფისკალური თავისუფლება +0,5 პუნქტით

მდგომარეობა გაუარესდა:

ბიზნესის თავისუფლება -0,5

სამუშაო ძალის თავისუფლება -0,3

იგივე მაჩვენებელი დარჩა შემდეგი კომპონენტებისთვის : საგადასახადო ტვირთი , მთავრობის დანახარჯები, სავაჭრო თავისუფლება, საინვესტიციო თავისუფლება ,ფინანსური თავისუფლება.

საინტერესოა საქართველოს პოზიცია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით , როგორც მეზობელი ქვეყნებთან ასევე დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით. დიაგრამა 11_ზე გამოსახულია 2010-2020 წლებში საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების შესაბამისი პოზიციები ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით:

დიაგრამა 11

საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების პოზიციები ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგების მიხედვით

2010-2020 წლებში საქართველო არის ლიდერი ქვეყანა თავისუფალი ეკონომიკის კუთხით , მეორე ადგილზეა სომხეთი, მესამე პოზიციაზეა ყაზახეთი . დანარჩენი ქვეყნების პოზიციები წლების მიხედვით ცვალებადია .

მოგზაურობის და ტურიზმის ინდექსს აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი , პირველად იგი 2007 წელს გამოქვეყნდა და თავდაპირველად მოიცავდა 124 ქვეყნის ანალიზს. ინდექსი ზომავს იმ ფაქტორების კონკურენტუნარიანობას და სტაბილურობას, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ტურიზმის სფეროს მდგრადობას და მიმზიდველობას საერთაშორისო მოგზაურებისთვის .ტურიზმისა და მოგზაურობის ინდექსი ქვეყნებს ანიჭებს შესაბამის ქულებს 1 დან 7 მდე და ადგენს რეიტინგებს. ინდექსი მოიცავს 4 სუბინდექსს და 14 მახასიათებელს .

გარემო	ტურიზმისა და მოგზაურობის პოლიტიკა	ინფრასტრუქტურა	ნატურალური და ბუნებრივი რესურსები
• ბიზნესგარემო • უსაფრთხოება • ჯანმრთელობა და ჰიგიენა • ადამიანური რესურსები და შრომის ბაზარი • ტექნოლოგიური განვითარება	• ტურიზმისა და მოგზაურობის პრიორიტეტები • საერთაშორისო გახსნილობა • ფასების კონკურენტუნარიანობა • გარემოს მდგრადობა	• საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა • სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურა • ტურისტული სერვისის ინფრასტრუქტურა	• ბუნებრივი რესურსები • კულტურული რესურსები და ბიზნესტურიზმი

დიგრამა 12_ზე წარმოდგენილია საქართველოს პოზიცია 2009-2019 წლებში ტურიზმისა და მოგზაურობის ყოველწლიური მოხსენებების მიხედვით:

დიაგრამა 12



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ტურიზმისა და მოგზაურობის ინდექსის რეიტინგების მიხედვით

როგორც მონაცემები ცხადყოფს, დინამიკაში საქართველოს პოზიცია და შესაბამისი ქულა ცვალებადია. ყველაზე კარგი პოზიცია საქართველომ 2013 წელს დაიკავა , მინიმალური პოზიცია კი 2009 და 2011 წელს. 2019 წელს 2 პუნქტით დაწინაურდა მსოფლიო რეიტინგში საქართველო და 68 ადგილს იკავებს. მოგზაურობისა და ტურიზმის ინდექსი შედგება სუბინდექსებისგან , რომელთა შესწავლის შემდეგ დგინდება ქვეყნების რეიტინგი და განისაზღვრება შესაბამისი პოზიციები . საქართველოსთვის სუბინდექსები და მათი რაოდენობრივი შეფასება შემდეგნაირია (იხ.დიაგრამა 13)



დიაგრამა 13

წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ტურიზმისა და მოგზაურობის ინდექსის რეიტინგების მიხედვით

ტურიზმისა და მოგზაურობის ინდექსის მოხსენებებში ვხვდებით დსთ-ს 7 ქვეყანას. დიაგრამა 14_ზე გამოსახულია საქართველოსა და დსთ-ს იმ ქვეყნების პოზიციები , რომლებიც მონაწილეობას იღებენ ინდექსის შედგენის პროცესში:

დიაგრამა 14



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ტურიზმისა და მოგზაურობის ინდექსის რეიტინგების მიხედვით

2011-2019 წლებში მოცემულ ქვეყნებს შორის პირველ ადგილს იკავებს რუსეთი, მეორეს საქართველო , ხოლო ბოლო პოზიციებს ტაჯიკეთი და ყირგიზეთი .

თავი III. დსთ-სქვეყნებთანსაერთაშორისოტურიზმისეკონომიკურ-სტატისტიკურიანალიზიდატურიზმისგანვითარებისმოლოდინები

3.1.დსთ-სქვეყნებიდანშემოსულიტურისტულინაკადებისსტატისტიკურიკვლევა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) არის საერთაშორისო ორგანიზაცია , რომელიც შეიქმნა 1991 წლის 21 დეკემბერს და 9 სახელმწიფოსგან , ესენია : აზერბაიჯანი, სომხეთი , რუსეთის ფედერაცია , მოლდოვა , ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი , ტაჯიკეთი , ბელარუსი და თურქმენეთი . თურქმენეთმა სრულუფლებიან წევრობაზე უარი თქვა 2005 წელს, თუმცა რჩება ასოცირებულ წევრად. დსთ-ს შტაბ-ბინა არის მინსკში , ბელარუსი.დსთ-სწესდებისადაშეთანხმებისსაფუძველზედაფუძნებულიადარგობრივითანამშრომლობის ორგანოებიეკონომიკის, სოციალურდასხვასფეროებში, რომელთა შემადგენლობაშიცშედიანაღმასრულებელიხელისუფლებისორგანოთახელმძღვანელები. საქართველო დსთ-ს წევრი იყო 1993 წლიდან , 2006 წელს გამოვიდა თავდაცვის მინისტრთა საბჭოდან ,ხოლო 2009 წლის 18 აგვისტოს ოფიციალურად დატოვა დსთ.

ანალიზისთვის საჭირო მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის , ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზებიდან.

ცხრილი 6

საქართველოში შემოსული ვიზიტორების მთლიანი და დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 2015-2019 წლებში (მლნ კაცი)

	2015	2016	2017	2018	2019
ვიზიტორებისრაოდენობა , სულ	4 029 806	4 201 596	5 118 561	5 752 062	6 071 613
ვიზიტორების	2 436 316	2 449 052	2 987 584	3 319 240	3 488 669

რაოდენობა დსთ-სქვეყნებიდან					

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტატისტიკური მაჩვენებლების გაანალიზებისთვის და დინამიკური მწკრივის დროში შესასწავლად სტატისტიკაში გამოიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები : აბსოლუტური მატება, საშუალო აბსოლუტური მატება, დინამიკური მწკრივის ზრდისა და მატების ტემპები, საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპები.

დიაგრამა 15

საქართველოში 2015-2019 წლებში ვიზიტორების აბსოლუტური მატება



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 15 -ზე მოცემული მონაცემების მიხედვით საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. აბსოლუტური მატების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2017 წელს , 916 966 ვიზიტორი , ხოლო 2016 წელს აბსოლუტური მატების მინიმალური ნიშნული გვაქვს , 171 790 . 2019 წელს 2018 წელთან შედარებით 5,5 %_ით გაიზარდა ვიზიტორების რიცხვი, 2015 წელთან შედარებით-50,7 %_ით. საშუალო აბსოლუტური მატება 2010-2019 წლებში არის 510 452, რაც გულისხმობს ,რომ ყოველწლიურად საქართველოში ვიზიტორების რიცხვი მოცემული რაოდენობით იზრდება , ხოლო ზრდის საშუალო ტემპი არის 1,108.

დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების შემოსვლა დინამიკაში ზრდადია. მაქსიმალური რაოდენობა ტურისტების დაფიქსირდა 2019 წელს, 3 488 669 , რაც

2018 წელთან შედარებით 169 429 ტურისტით მეტია. მინიმალური რაოდენობა 2015 წელს ფიქსირდება და 4 029 806-ს შეადგენს. 2016 წელს აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 12 736 , რაც აბსოლუტური მატების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 5 წლის მონაცემებში , მაქსიმალური აბსოლუტური მატება 2017 წელს დაფიქსირდა და შეადგენდა 538 532 (იხ.დიაგრამა 16) .

დიაგრამა 16

დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების აბსოლუტური მატება



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ზრდის ტემპის დაანგარიშების შედეგები მოცემულია დიაგრამა 17-ზე

დიაგრამა 17

დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების ზრდის ტემპი 2015-2019 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ზრდის ტემპის ორივე მეთოდით დაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ დსთ-დან ტურისტების ზრდის ტემპი ზრდადია ყველა წელს . ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ორივე მეთოდით არის 2016 წელს 100, 5 %, ხოლო ყველაზე მაღალი- 2019 წელს საბაზისო ზრდის ტემპით -143, 2 % , ჯაჭვური ზრდის ტემპით მაქსიმალური რაოდენობა ფიქსირდება 2017 წელს -121,9 %.

დიაგრამა 18

დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების მატების საშუალო ტემპი



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

როგორც დიაგრამა 18_დან ჩანს მატების საშუალო ტემპი დინამიკაში ზრდადია , 2016 წელს ყველაზე მცირე რაოდენობით მატება მოხდა , 0,5 %_ით , ხოლო 2017 წელს დსთ-დან ტურისტების საშუალო მატების ყველაზე დიდი ტემპი ფიქსირდება , 21,9 %. 2018 და 2019 წელს შესაბამისად 11,1 % და 5,1 %_იანი მატების საშუალო ტემპია.

საშუალო აბსოლუტური მატების ტემპი დსთ-ს ქვეყნებისთვის 2015-2019 წლებში არის 263 088 , რაც გულისხმობს რომ საშუალოდ ყოველ წელს 263 088_ით მეტი ვიზიტორი შემოდიოდა საქართველოში . საშუალო წლიური ზრდის ტემპი არის 1,094 , საშუალოდ ყოველწლიურად დსთ-ს ქვეყნებიდან 1,1 პროცენტით მეტი ვიზიტორი შემოდიოდა.

ანალიზის გასაღრმავებლად განვიხილეთ მონაცემები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში შედეგად დაკვირვებადი გახდა თუ როგორ იცვლებოდა დინამიკაში დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ტურისტული ნაკადების ასაკობრივი სტრუქტურა, როგორი აქტივობით შემოდიოდნენ მამაკაცები და ქალები , რომელი ჯგუფი უფრო ხშირად სტუმრობდა საქართველოს და ა.შ. დიაგრამა 20_ზე მოცემულია 2015-2019 წლებში დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა სქესის მიხედვით:

დიაგრამა 20

დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობის სქესობრივ ჭრილში განაწილება (მლნ კაცი)

დიაგრამა 19



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა19 -ზე არსებული მონაცემების მიხედვით მამაკაცების რაოდენობა ყველა წელს საგრძნობლად აღემატება ქალების რაოდენობას .2016 წელს საქართველოს 26 717_ით ნაკლები მამაკაცი და 39 453 _ით მეტი ქალი ესტუმრა 2015 წელთან შედარებით , 2017 წელს 297 957_ით მეტი მამაკაცი და 240 575_ით მეტი ქალი, 2018 წელს 146 219 _ით მეტი მამაკაცი და 275 437 _ით მეტი ქალი, 2019 წელს კი159 950_ით მეტი მამაკაცი და 9 479_ით მეტი ქალი. ქალების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა, 2019 წელს -, 1 352 085 ოდენობით

, ხოლო მინიმალური რაოდენობით 2015 წელს , 877 141. მაქსიმალური რაოდენობის მამაკაცი 2019 წელს ესტუმრა საქართველოს , 2 13 6 584 , ხოლო მინიმალური რაოდენობის 2017 წელს, 1 532 458.

მონაცემების მიხედვით იკვეთება გენდერული დისბალანსი. საშუალო აბსოლუტური მატება მამაკაცებისთვის არის 144 352, რაც ნიშნავს რომ 2010წლიდან 2019 წლის ჩათვლით საშუალოდ 115 482 _ით მეტი მამაკაცი სტუმრობს დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოს ყოველ წელს, ქალებისთვის ეს მაჩვენებელია 118 736. საშუალო წლიური ზრდის ტემპი მამაკაცებისთვის არის 1,082- , ხოლო ქალებისთვის - 1,114.

ცხრილი 7

წელი	2016	2017	2018	2019
აბოლუტურიმატება/კლებაქალებისთვის	39 453	240 575	185 437	9 479
აბსოლუტურიმატება /კლებამამაკაცებისთვის	-26 717	297 957	146 219	159 950

აბსოლუტური მატება

ქალებისთვის და მამაკაცებისთვის 2016-2019 წელი

წყარო :ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ცხრილი 7_ის მონაცემების მიხედვით, 2016 წელს 2015 წელთან შედარებით მამაკაცი ტურისტების რაოდენობა 26 717 _ით შემცირდა. აბსოლუტური მატების მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა 2017 წელს ქალებისთვის -, 240 575 , ხოლო მამაკაცებისთვის- 297 957. აბსოლუტური მატების მინიმალური მნიშვნელობა ქალებისთვის არის 2019 წელი და 9479 _ით გაზრდილი ქალი ტურისტების რაოდენობა, მამაკაცებისთვის კი -146 219 , 2018 წელს.

ცხრილი 8

დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ქალი და მამაკაცი ტურისტების ზრდის ტემპები 2016-2019 წლებში

წელი	2016	2017	2018	2019
ზრდის /კლებისტემპიქალებისთვის	104 ,5%	126 ,2%	116 ,1%	100 ,7%
ზრდის /კლებისტემპიმამაკაცებისთვის	98 ,3 %	119 ,4%	107 ,9%	108 ,1%

წყარო :ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ცხრილი-8_ის მიხედვით ზრდის ტემპები ქალებისთვის და მამაკაცებისთვის განსხვავებულია ყველა წელს. მინიმალური ზრდის ტემპი ქალებისთვის არის 100,7 %, 2019 წელს , ხოლო მამაკაცებისთვის 107,9 %, 2018 წელს. მაქსიმალური ზრდის ტემპი არის 2017 წელს , ქალებისთვის -126, 2% და მამაკაცებისთვის -119,4 %.

ცხრილი 9

მატების/კლების ტემპი მამაკაცებისთვის და ქალებისთვის 2016-2019 წლებში

წელი	2016	2017	2018	2019
მატების/კლებისტემპიქალებისთვის	4, 5 %	26, 2%	16, 1 %	0 ,7 %
მატების/კლებისტემპიმამაკაცებისთვის	(-)1 , 7 %	19, 4 %	7, 9%	8 , 1 %

წყარო :ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ცხრილ 9_ში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ქალი ტურისტებისთვის მატების საშუალო ტემპი არაერთგვაროვანია წლების მიხედვით. 2016 წელს გვაქვს მხოლოდ 4,5 %_იანი მატების საშუალო ტემპი , ხოლო 2017 წელს მონაცემები საგრძნობლად გაუმჯობესდა და საშუალო მატების ტემპმა 26,2 %-ს მიაღწია , რაც განხილული წლების მაქსიმალურ დონეს წარმოადგენს. მინიმალური მატების ტემპი გვაქვს 2019 წელს-0,7 %. მატების საშუალო ტემპები არაერთგვაროვანია დინამიკაში მამაკაცებისთვისაც, 2016 წელს საშუალო კლების ტემპია და -1,7%-ს აღწევს, მონაცემები

უმჯობესდება 2017 წელს , მაქსიმალური მატების ტემპის დროს , 19,4 %. ხოლო 2019 წელს 2018 წელთან შედარებით 8,1 %_იანი მატების საშუალო ტემპი გვაქვს.

დიაგრამა 20

დსთ_ს ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2015-2019 წლებში.



	2015	2016	2017	2018	2019
15-30	759,693	745,633	888,482	963,572	973,004
31-50	1,089,064	1,101,849	1,359,384	1,532,574	1,649,168
51-70	550,698	565,671	698,756	775,750	816,097
71+	36,861	35,899	40,962	47,344	50,400

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც დიაგრამა 20-დან იკვეთება, ყველაზე მეტი რაოდენობის ტურისტი დსთ-ს ქვეყნებიდან 31-50 წლის ასაკის შუალედში გვხვდება , ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით 71 და მეტი წლის ტურისტები სტუმრობენ საქართველოს. 2019 წელს 2018 წელთან შედარებით 9432 _ით მეტი რაოდენობის ტურისტი გვესტუმრა 15-30 წლის ასაკობრივ შუალედში, 31-50 ასაკობრივ ჯგუფში ტურისტების რაოდენობა 9432_ით გაიზარდა, 51-დან 70 წლამდე ტურისტების რაოდენობა 2019 წელს 40 347 _ით გაიზარდა, ხოლო 70 და მეტი წლის ტურისტების რაოდენობის ზრდა ,ყველაზე მცირეა და შეადგენს 3056 ტურისტს. ტურისტების საშუალო აბსოლუტური მატება 15-30 წლის შუალედში არის 53 328 , 31-50 ასაკობრივ ჯგუფში 140 026, 51-70 წლის შუალედში 66 349 , ხოლო 71 და მეტი შუალედში 3 385.

ცხრილი 10

აბსოლუტური მატება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2016-2019 წლებში

აბსოლუტურიმატება				
	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
15-30	-14 060	142 849	75 090	9 432
31-50	12 785	257 535	173 190	116 594
51-70	14 973	133 085	76 994	40 347
71+	-782	5 063	6 382	3 056

წყარო :ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

როგორც ცხრილი 10-ის მონაცემებიდან ჩანს აბსოლუტური მატება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით არაერთგვაროვანია, დინამიკაში იგი ხან იზრდება ხან მცირდება. მაგალითად: 31-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში მინიმალური რაოდენობის აბსოლუტური მატება დაფიქსირდა 2016 წელს 12 785, ხოლო მაქსიმალური 2017 წელს, 257 535. 71+ ასაკობრივ ჯგუფში 2016 წელს ვიზიტორების რიცხვი შემცირდა 782 -ით რაც მინიმალური მაჩვენებელია , ხოლო მაქსიმალური ნიშნული აბსოლუტური მატების ფიქსირდება 2018 წელს, 6 382 ვიზიტორი.

ცხრილი 11

	15-30	31-50	51-70	71+
საშუალოაბსოლუტურიმატება	53 328	140 026	66 349	3 429
ზრდისსაშუალოტემპი	1,06382326	1,109308303	1,1033338	1,08267342

წყარო :ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ცხრილ 11 _ში მოცემულია საშუალო აბსოლუტური მატება და ზრდის საშუალო ტემპი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით . 31-50 წლების ასაკობრივ ჯგუფში ყოველწლიურად დაშუალოდ 140 026 _ით მეტი ვიზიტორი სტუმრობს საქართველოს,ხოლო მინიმალური რაოდენობით ყოველწლიური მატება აღინიშნება 71+ასაკობრივ ჯგუფში და შეადგენს 3 429-ს. ანალოგიურად მაქსიმალური და მინიმალური ზრდის საშუალო ტემპები არის შესაბამისად 31-50 ასაკობრივ და 71+ ასაკობრივ ჯგუფებში.

ანალიზის გასაღრმავებლად განვიხილეთ ცალ-ცალკე დსთ-ს რომელი ქვეყნებიდან რამდენი ტურისტი ესტუმრა საქართველოს , რა მიზნით და საშუალოდ რამდენი ლარი დახარჯეს ერთი სტუმრობისას. დიაგრამა 22 და დიაგრამა 23 _ზე მოცემულია ტურისტების რაოდენობა 2015-2019 წლებში დსთ-ს წევრი ქვეყნების მიხედვით .

დიაგრამა 21



წყარო :დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 21_ის მონაცემების მიხედვით , დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების უმრავლესობა 2015 წელს არის სომხეთიდან , 2016 და 2017 წელს აზერბაიჯანად , ხოლო 2018 და 2019 წელს რუსეთის ფედერაციიდან. ყველაზე მცირე რაოდენობის ტურისტი 2015-2019 წლებში საქართველოს სტუმრობს ტაჯიკეთიდან (იხ. დიაგრამა 22).

დიაგრამა 22



წყარო :დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

საშუალო აბსოლუტური მატება დსთ-ს თითოეული წევრი ქვეყნისთვის მოცემულია ცხრილ 12-ში.

ცხრილი12

	საშუალოაბსოლუტურიმატება	ზრდისსაშუალოტემპი
აზერბაიჯანი	66 599	1,071
რუსეთის ფედერაცია	149 525	1,183
სომხეთი	17 416	1,019
ყაზახეთი	12 419	1,292
ბელარუსი	9 278	1,283
თურქმენეთი	2 258	1,544
მოლდოვა	-1	1,000

ტაჯიკეთი	951	1,486
უზბეკეთი	2 427	1,278
ყირგიზეთი	2 217	1,465

წყარო :ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

როგორც ცხრილ 12-დან ჩანს დსთ-ს ქვეყნებიდან საშუალოდ ყოველ წელს რუსეთის ფედერაციიდან შემოდის ყველაზე დიდი რაოდენობით ვიზიტორი და მათ რიცხვი შეადგენს 149 525-ს, ხოლო საშუალო აბსოლუტური მატების მინიმალური მაჩვენებელია (-1) მოლდოვას რესპუბლიკის შემთხვევაში.ზრდის საშუალო ტემპის მიხედვით ლიდერი ქვეყანაა თურქმენეთი, ხოლო ამ მაჩვენებლის მინიმალური მნიშვნელობა არის მოლდოვას რესპუბლიკისთვის.

საქართველოში ტურისტები სხვადასხვა მიზნით მოგზაურობენ . ზოგიერთ მათგანს აინტერესებს ბუნება და ტრადიციები , ზოგიერთს უბრალოდ დასვენება და რეკრეაცია, ზოგიერთი ნათესავების მოსანახულებლად ან წმინდა ადგილების სანახავად მოდის. დიაგრამა 24_ზე მოცემულია ის ძირითადი მიზნები , რისთვისაც 2015-2019 წლებში საქართველოს ესტუმრნენ დსთ-ს ქვეყნებიდან. 2015 , 2016 და 2017 წლებში ყველაზე დიდი რაოდენობით ტურისტი ჩამოვიდა ნათესავების და მეგობრების მოსანახულებლად , 2018 და 2019 წლებში დასვენების და რეკრეაციის მიზნით ესტუმრა საქართველოს ყველაზე მეტი ტურისტი დსთ-ს ქვეყნებიდან. ყველაზე მცირე რაოდენობით ტურისტი განათლების მისაღებად , რელიგიური მიზნით და სხვა მიზნით სტუმრობს საქართველოს.

დიაგრამა23



წყარო : დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

2019 წელს 2018 წელთან შედარებით 102 000_ით მეტი ტურისტი შემოვიდა დასვენების და რეკრეაციის მიზნით, ხოლო 2015 წელთან შედარებით კი 716 400_ით .

ცხრილი13

დასვენება,გართობა ,რეკრეაცია	საშუალოაბსოლუტურიმატება	179 100
	ზრდისსაშუალოტემპი	1,197
მეგობრების/ნათესავებისმონახულება	საშუალოაბსოლუტურიმატება	37 500
	ზრდისსაშუალოტემპი	1,033
განათლებისმიღება	საშუალოაბსოლუტურიმატება	1 200
	ზრდისსაშუალოტემპი	1,055
მკურნალობა,გაჯანსაღება	საშუალოაბსოლუტურიმატება	(-)21 900
	ზრდისსაშუალოტემპი	0,884
რელიგია/მომლოცველობა	საშუალოაბსოლუტურიმატება	(-)6 600
	ზრდისსაშუალოტემპი	0,622
შოპინგი	საშუალოაბსოლუტურიმატება	28 500
	ზრდისსაშუალოტემპი	1,066
სხვამიზანი	საშუალოაბსოლუტურიმატება	16 800
	ზრდისსაშუალოტემპი	1,424

წყარო : ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

როგორც ცხრილი 13-დან ჩანს საშუალოწლიურად დასვენება-გართობის მიზნით 179 100_ით მეტი ტურისტი შემოდის , ეს მაჩვენებელი ნათესავების და მეგობრების მონახულების მიზნით ვიზიტისას შეადგენს37 500-ს , განათლების მიღების მიზნით- 1200-ს, მკურნალობა , გაჯანსაღების მიზნით- (-)21 900 _ს, რელიგიური მიზნით- (-)6 600, შოპინგისთვის -28 500-ს , ხოლო სხვა დანარჩენი მიზნისთვის -16 800-ს.

დასვენების,გართობის და რეკრეაციის მიზნით შემოსული ვიზიტორების რაოდენობა საშუალოწლიურად იზრდება 1,197-ჯერ, მეგობრების და ნათესავების მონახულების მიზნით შემოსული ვიზიტორების 1,033-ჯერ, განათლების მიღების მსურველთა რიცხვი - 1,033-ჯერ იზრდება , მკურნალობის მიზნით ჩამოსული ვიზიტორების რიცხვი მცირდება 0,884-ჯერ ასევე მცირდება მომლოცველთა საშუალოწლიური ზრდის ტემპიც 0,622-ჯერ, 1,066 -ჯერ იზრდება შოპინგის მსურველთა რიცხვი , ხოლო სხვა მიზნით ზრდის საშუალოწლიური ტემპი 1,424-ჯერ იზრდება.

იმის გათვალისწინებით , რომ ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი დარგია ტურიზმი და ტურისტული აქტივობიდან მიღებული შემოსავლები , აუცილებელია ტურიზმის დანახარჯების შესწავლა. ტურისტული ხარჯები არის ტურისტული მოგზაურობის დროს შეძენილი საქონლისა და მომსახურეობის ხარჯები იმის მიუხედავად ის საკუთარი მოხმარებისთვისაა თუ სხვისთვის, იგი მოიცავს როგორც თავად ტურისტის მიერ გაწეულ ასევე სხვების მიერ ანაზღაურებულ ხარჯებს.

დიაგრამა 24_ზე მოცემულია დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული, ხარჯების მოცულობის მიხედვით ტოპ 5 ქვეყანა , 2015-2019 წლებში. მონაცემების მიხედვით , აზერბაიჯანი, სომხეთი , რუსეთი , ყაზახეთი და ბელარუსი არის ხარჯების მოცულობის სიდიდის მხრივ მოწინავე პოზიციებზე, შესაბამისად ყველაზე მცირე ხარჯები აქვს უზბეკეთს, მოლდოვას, თურქმენეთს , ტაჯიკეთს და ყირგიზეთს (იხ დიაგრამა 26).

დიაგრამა 24



წყარო : დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 24_ის მონაცემების მიხედვით რუსეთის ფედერაციიდან 2016-2019 წლებში ყველაზე მეტი რაოდენობით ხარჯები იქნა გაწეული და დინამიკაში ეს მონაცემები ზრდადია თითოეულ წელს. საშუალო აბსოლუტური მატება რუსეთის ფედერაციისთვის შეადგენს 31 897 750 ლარს. სომხეთის მოქალაქეებისგან გაწეული ხარჯების სტრუქტურა დინამიკაში ცვალებადია და საშუალოწლიური მატება შეადგენს 2 916 250 ლარს, აზერბაიჯანის საშუალოწლიური ხარჯების მატება 1 064 000ლარს შეადგენს, ყაზახეთიდან- 2 823 000 ლარს , ხოლო ბელარუსიდან 943 250 ლარს.

დიაგრამა 25



წყარო : დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

მცირე ხარჯების მოცულობით გამოირჩევა დსთს შემდეგი ქვეყნები: თურქმენეთი , მოლდოვა , ტაჯიკეთი , უზბეკეთი და ყირგიზეთი. 2015 წელს უზბეკეთის რეზიდენტებმა საქართველოში ვიზიტისას დახარჯეს 173 000 ლარი, ეს იყო ამ წლის მაქსიმალური ხარჯის მოცულობა , ხოლო მინიმალური გასწია ყირგიზეთმა 46 000 ლარის ოდენობით. 2016 წელს მაქსიმალური თანხა დახარჯეს უზბეკეთის მოქალაქეებმა ,684 000, ხოლო მინიმალური თურქმენეთის მოქალაქეებმა , 3000 ლარი. 2017 წელს მოლდოვის რესპუბლიკიდან საქართველოში დაიხარჯა მაქსიმალური 455 000 ლარი , ხოლო თურქმენეთიდან 18000 ლარი. 2018 წელს მოლდოვის რესპუბლიკიდან დაიხარჯა 1 768 000 ლარი , რაც ამ წლის მაქსიმალური და მოლდოვას რეკორდული მაჩვენებელია , ხოლო მინიმალური თანხა დაიხარჯა თურქმენეთიდან 150 000 ლარის ოდენობით . 2019 წელს ლიდერი ქვეყანა ხარჯების გაწევის მხრივ არის ყირგიზეთი 1 686 000 ლარი ,ხოლო მინიმალური რაოდენობის თანხა დაიხარჯა ტაჯიკეთიდან 12 000 ლარის ოდენობით.

ცხრილი14

	საშუალოაბსოლუტურიმატება	ზრდისსაშულოტემპი
ყირგიზეთი	410 000	2,46
უზბეკეთი	134 000	1,42
მოლდოვა	104 500	1,39
თურქმენეთი	47 500	1,21
ტაჯიკეთი	(-)22 500	0,59

წყარო : ცხრილი მომზადებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ასევე საინტერესოა ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლის შესწავლა დსთ-ს რეზიდენტებისთვის.

ცხრილი 15

ქვეყანა	ინტენსივობისშეფარდებითიმაჩვენებელი
აზერბაიჯანი	111.5354
რუსეთი	8.513176912
სომხეთი	319.8505128

ბელარუსი	6.199824974
მოლდოვა	1.634528896
თურქმენეთი	2.119512918
ტაჯიკეთი	0.555400697
უზბეკეთი	0.491569653
ყირგიზეთი	1.887333333
ყაზახეთი	4.565627394

წყარო : ცხრილი მომზადებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით

როგორც მონაცემებიდან ჩანს ყველაზე დაბალი ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებელი რუსეთს აქვს და შეადგენს 1000 კაცზე დაახლოებით 8,5 -ს. დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რიცხვით 2019 წელს სჭარბობს აზერბაიჯანის წილი, თუმცა ინტენსივობის შეფარდებითმა სიდიდემ აჩვენა რომ სომხეთიდან უფრო მეტი რაოდენობის ტურისტი 1000 კაცზე დაახლოებით 319, 9 შემოდის .

საკითხის უკეთ გასაგებად და დინამიკაში შესასწავლად საჭირო გახდა ანალიზის ჩატარება ვიზიტების საერთო რაოდენობისთვის. 2015 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი სომხეთიდანაა , 1 191 777. ასევე ამ წელს ტოპ 15 ქვეყანაში მოხვდა დსთ-ს სხვა 4 ქვეყანაც , აზერბაიჯანი მე-2 პოზიციით და1 156 183 ვიზიტით, რუსეთი ფედერაცია მე-4 პოზიციით და 763 019 ვიზიტით , ყაზახეთი მე-9 პოზიციით და 30 931 ვიზიტით , ხოლო ბელარუსი იკავებს მე-11 პოზიციას და მთლიანობაში 2015 წელს საქართველოში ამ ქვეყნიდან 25 724 ვიზიტი განხორციელდა.

2016 და 2017 წლებში დსთ-ს 3 ქვეყნიდან განხორციელდა ყველაზე მეტი ვიზიტი , ესენია : აზერბაიჯანი , სომხეთი და რუსეთი . მე-10 და მე-14 პოზიცია აქვთ ყაზახეთს და ბელარუსს 2016 და 2017 წლებში ვიზიტების რაოდენობით.

ცხრილ 16 _ში მოცემულია 2015-2019 წლებში დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა , როგორც მონაცემები გვიჩვენებს ვიზიტების რაოდენობა მოცემულ წლებში დინამიკაში იზრდება შემდეგი ქვეყნებისთვის: აზერბაიჯანი, ბელარუსი, თურქმენეთი, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთი, ყაზახეთი , ყირგიზეთი . დანარჩენი 3 ქვეყნისთვის მატება და კლება ერთმანეთს ენაცვლება

ცხრილი 16

დსთ-სქვეყნებიდანგანხორციელებულისაშუალოთვიურივიზიტებისრაოდენობა, ათასიკაცი					
	2015	2016	2017	2018	2019
აზერბაიჯანი	96,3	89,7	108,5	118,7	127,2
ბელარუსი	2,1	2,7	3,5	5,0	5,5
თურქმენეთი	0,2	0,3	0,8	0,9	1,1
მოლდოვა, რესპუბლიკა	0,6	0,6	0,7	0,6	0,5
რუსეთისფედერაცია	63,6	70,8	94,6	117,1	122,6
სომხეთი	99,3	96,0	107,3	105,7	113,8
ტაჯიკეთი	0,1	0,2	0,2	0,2	0,4
უზბეკეთი	0,5	0,7	1,1	0,7	1,3
ყაზახეთი	2,6	3,4	3,9	4,9	8,6
ყირგიზეთი	0,2	0,3	0,4	0,6	1,1

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილ 17 -ში მოცემულია აბსოლუტური მატების მაჩვენებელი დსთ-ს ქვეყნებისთვის 2016-2019 წლებში. როგორც მონაცემებიდან ჩანს, არცერთ ქვეყანას არ აქვს ყველა წელს დადებითი დინამიკა ზრდის მიმართულებით. მაგალითად ,თუ ვიზიტორების რაოდენობით ტოპ 3 ქვეყანას დავაკვირდებით , დავინახავთ რომ , აზერბაიჯანიდან ვიზიტორების აბსოლუტური მატება 2017 წელს მზარდია , 2018 და 2019 წელს კლებადი, იგივე სიტუაცია რუსეთიდან შემოსული ვიზიტორებისთვისაც ,სომხეთისთვის 2017 წელი მზარდია , 2018 კლებადი , ხოლო 2019 ზრდადი.

ცხრილი 17

დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული ვიზიტების აბსოლუტური მატების მაჩვენებელი 2016-2019 წლებში

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
აზერბაიჯანი	-80 363	225 736	123 054	102 009
სომხეთი	-39 543	134 934	-18 282	96 162
რუსეთი	197 983	285 792	269 700	66 801
ბელარუსი	7 215	9 210	18 092	5 933
ყაზახეთი	9 964	6 346	11 714	44 656
მოლდოვა	231	1 194	-616	-989

ტაჯიკეთი	760	451	-33	3104
უზბეკეთი	2 434	4 391	-4 728	8 473
თურქმენეთი	2 040	5 684	446	3 492
ყირგიზეთი	978	882	2 099	6 659

წყარო : ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

საშუალო აბსოლუტური მატება და ზრდის საშუალო ტემპი 2015-2019 წლებში დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისამოცემულია ცხრილ 18-ში

ცხრილი 18

	საშუალოაბსოლუტურიმატება	ზრდისსაშუალოტემპი
აზერბაიჯანი	92 700	1,072
ბელარუსი	10 200	1,272
თურქმენეთი	2 700	1,531
მოლდოვა	-300	0,955
რუსეთის ფედერაცია	178 800	1,181
სომხეთი	174 000	1,033
ტაჯიკეთი	900	1,414
უზბეკეთი	2400	1,270
ყაზახეთი	18 000	1,349
ყირგიზეთი	2 700	1,531

წყარო : ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

საშუალო აბსოლუტური მატების მაჩვენებლით ლიდერი ქვეყანაა რუსეთის ფედერაცია, ყოველწლიურად ვიზიტების რაოდენობა რუსეთიდან 178 800_ით იზრდება, ხოლო მინიმალური საშუალოწლიური მატება აქვს მოლდოვას (-)300 ვიზიტით. ზრდის საშუალო ტემპის მონაცემებია განსხვავებულია, აქ ლიდერი ქვეყნებია თურქმნეთი და ყირგიზეთი , ხოლო მინიმალური ზრდის საშუალო ტემპი შეესაბამება მოლდოვას.

რაც შეეხება ვიზიტების რაოდენობის ზრდის ტემპს , აქ მონაცემები ასეთია : ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თურქმენეთიდან შემოსულ ვიზიტორებში 239,1 %_იანი ზრდის ტემპი 2017 წელს (იხ. ცხრილი 19) . 2018 წელს ყველაზე მაღალი

კლების ტემპი დაფიქსირდა უზბეკეთიდანშემოსულ ვიზიტორთა რაოდენობაში, როდესაც კლების ტემპმა შეადგინა 63,7% .

ცხრილი 19

დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული ვიზიტების ზრდის ტემპი 206-2019 წლებში

	2016	2017	2018	2019
აზერბაიჯანი	93%	121%	109 ,5 %	107 , 2 %
ბელარუსი	128%	128%	142 , 9 %	109 , 8 %
თურქმენეთი	199 ,7 %	239 ,1 %	104 , 6%	134 , 2 %
მოლდოვა	103 , 4	117 ,1	92 , 5 %	86 , 9%
რუსეთისფედერაცია	96 ,7 %	133 ,7%	123 , 8 %	104 , 8%
სომხეთი	171 , 7 %	111 , 7 %	98 ,6 %	107 , 6%
ტაჯიკეთი	139 ,2 %	124 ,8 %	98 ,5 %	238 , 7%
უზბეკეთი	132 ,2 %	150 , 8 %	63 , 7%	201 , 9%
ყაზახეთი	132 , 2 %	115 , 5 %	124 , 8%	175 , 7%
ყირგიზეთი	135 , 9 %	123 , 8 %	145 , 8 %	199 , 6 %

წყარო : ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ზრდის ტემპიდან გამომდინარეობს ვიზიტების მატების ან კლების საშუალო ტემპის დინამიკა , მაღალი მატების ტემპი აქვს 2019 წელს უზბეკეთს 101, 9 % , თურქმენეთს 2017 წელს 139,1 % , ტაჯიკეთს 2019 წელს 138 , 7% , ასევე ყირგიზეთს 2019 წელს 99,6 %. მინიმალური მაჩვენებელია - 36 % უზბეკეთი 2018 წელს, მოლდოვა 2018 წელს -8 %, 2019 წელს -14 % (იხ. ცხრილი 20) , რაც საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია ტურიზმის სექტორისთვის და დინამიკაში უარყოფით შედეგებს გვაძლევს.

ცხრილი 20

დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული ვიზიტების მატების საშუალო ტემპი 2016-2019 წლებში

	2016	2017	2018	2019
აზერბაიჯანი	-7%	21%	9,5%	7, 2%
სომხეთი	-3%	11,7%	-2%	7,6%
რუსეთი	30%	33, 7 %	23, 8 %	4,8%
ბელარუსი	28%	28%	42,9%	9,8%
ყაზახეთი	32%	15, 5 %	90 , 6 %	75 , 7 %
მოლდოვა	3%	17, 1 %	-8%	-14%
ტაჯიკეთი	72%	24, 8 %	-2%	138 , 7 %

უზბეკეთი	39%	50, 8 %	-36%	101 , 9 %
თურქმენეთი	99 , 7 %	139 , 1 %	4,6%	34, 2%
ყირგიზეთი	35, 9 %	23, 8 %	45,8%	99 , 6 %

არსებობს ვიზიტორების 2 სახე :

1)ექსკურსიული (ერთდღიანი) ვიზიტორი არის ვიზიტორი , რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2)ტურისტიარისვიზიტორი, რომელმაცღამეგაათენასაქართველოსტერიტორიაზე.

2015-2019 წლებში ტურისტული მიზნით შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა აღემატება ექსკურსიული მიზნით შემოსულს. ტურისტული მიზნით შემოსული არარეზიდენტების წილი მთლიან რაოდენობაში 2015 წელს არის 47 ,8% , 2016 წელს 45,2 % , 2017 წელს 44,1 %, 2018 წელს 39,4 % , ხოლო 2019 წელს 40,5 %.რაც შეეხება ექსკურსიულ მიზანს მონაცემები ასეთია : 2015 წელი - 52,2 % , 2016 წელი -54,8 % , 2017 წელი- 55,9 % , 2018 წელი-60,6 % და 2019 წელი- 59,5 % (იხ. დიაგრამა 27). დიაგრამა 26

ექსკურსიული ვიზიტების წილი მთლიან ვიზიტების რაოდენობაში 2015-2019 წლებში



წყარო : დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 27

ტურისტული ვიზიტების წილი მთლიან ვიზიტების რაოდენობაში 2015-2019 წლებში



წყარო : დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 28

დსთ-ს ტოპ 3 ქვეყნიდან განხორციელებული ვიზიტების საშუალოთვიური რაოდენობის განაწილება ექსკურსიული და ტურისტული მიზნების მიხედვით 2015-2019 წლებში (ათასი კაცი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც დიაგრამა 28-დან ჩანს , მაქსიმალური რაოდენობის ტურისტმა იმოგზაურა საქართველოში რუსეთის ფედერაციიდან 2018 წელს და მათი რაოდენობა იყო 991 680 , მინიმალური რაოდენობის ტურისტი ესტუმრა საქართველოს 2016 წელს სომხეთიდან და მათი რაოდენობა იყო 358 560 .ექსკურსიული მიზნით ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა

საქართველოში სომხეთიდან 2017 წელს , 614 400 , ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობის- 2016 წელს რუსეთის ფედერაციიდან , 194 280 ექსკურსანტი.

დიაგრამა 29

დსთ-ს ქვეყნების ვიზიტების საშუალოთვიური განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით 2015-2019 წლებში



	2015 წელი		2016 წელი		2017 წელი		2018 წელი		2019 წელი	
	ექსკურსანტი	ტურისტი	ექსკურსანტი	ტურისტი	ექსკურსანტი	ტურისტი	ექსკურსანტი	ტურისტი	ექსკურსანტი	ტურისტი
ბელარუსი	0.13	1.73	0.14	2.33	0.19	3.01	0.20	4.37	0.25	4.76
თურქმენეთი	0.03	0.13	0.08	0.24	0.09	0.61	0.07	0.68	0.12	0.83
მოლდოვა, რესპუბლიკა	0.12	0.38	0.13	0.40	0.18	0.46	0.11	0.47	0.09	0.41
ტაჯიკეთი	0.02	0.06	0.09	0.06	0.09	0.09	0.04	0.14	0.1	0.31
უზბეკეთი	0.25	0.24	0.39	0.30	0.67	0.38	0.15	0.51	0.36	0.97
ყაზახეთი	0.21	2.15	0.2	2.98	0.27	3.38	0.53	3.89	1.66	5.49
ყირგიზეთი	0.03	0.18	0.05	0.23	0.05	0.29	0.07	0.44	0.12	0.87

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ექსკურსიული მიზნით შემოსული ვიზიტორების მაქსიმალური რიცხვი დსთ-ს დანარჩენი ქვეყნებიდან არის 2019 წელს ყაზახეთი , ხოლო მინიმალური ექსკურსანტების რაოდენობა დაფიქსირდა ყირგიზეთიდან 2015 წელს. ტურისტების მაქსიმალური რაოდენობა საქართველოს ესტუმრა ყაზახეთიდან 2019 წელს , ხოლო მინიმალური ტაჯიკეთიდან 2015 წელს.

3.2 ტურიზმისგანვითარებისმოლოდინებიკორონომიკისპირობებში

2020 წელი მსოფლიოსთვის კორონავირუსის გავრცელებისა და პანდემიის წელი აღმოჩნდა. შეიცვალა სამყაროს ცხოვრების წესი, ტრანსფორმირდა ადამიანების დამოკიდებულება საზოგადოებრივი აქტივობების მიმართ. გააქტიურდა ონლაინ

კონტაქტები, რის გამოც საზოგადოება ახალი გამოწვევებისა და ცხოვრების ღირებულებებისადმი დამოკიდებულების შეცვლილი ფორმების წინაშე აღმოჩნდა. ამან რა თქმა უნდა, გავლენა იქონია ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. პანდემია განსაკუთრებით მწვავედ შეეხო ტურიზმს. შეიძლება ითქვას, განვითარების აქტიურ ფაზაში მყოფი როგორც შიდა ისე საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი სტატისტიკური პარამეტრები შეიცვალა, ტრანსფორმირდა და ტურიზმიც გარკვეულწილად ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადავიდა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ტურიზმისათვის მოლოდინების განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა შესაძლებელი იყო საქართველოს რეზიდენტებისათვის გამსვლელი ტურიზმის მოლოდინების განსაზღვრა.[8]

კორონავირუსი (COVID-19) 2019 წლის დეკემბერში გაჩნდა ჩინეთის ქალაქ უხანში, შემდეგ კი გავრცელდა ჩინეთის სხვადასხვა პროვინციაში. დღევანდელი მდგომარეობით ამ ვირუსმა მსოფლიოს 200-მდე ქვეყანა მოიცვა.მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით.[9]

სადავო არ არის რომ ტურიზმის ერთ-ერთი იმ სექტორთაგანია, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო COVID-19-სგან. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, რთულია საერთაშორისო ტურიზმზე კორონავირუსის გავლენის შეფასება, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით, წინაზე ნავარაუდევი 3-4%-იანი ზრდის ნაცვლად. 12 რაც ნიშნავს, საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებიდან მიღებული თანხების 30-50 მილიარდი აშშ დოლარით შემცირებას. Mobility Market Outlook on COVID-19-ის მიხედვით, 2020 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის გლობალური შემოსავალი იქნება სავარაუდოდ 568.6 მილიარდი აშშ დოლარი, რაც წინა

---

[8]ნ.აბესაძე საქართველოდან გამყვანი ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა კორონომიკის პირობებში. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის:კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“ მასალები

[9]საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. ,,თვალსაზრისი“http://www.parliament.ge/ge/ajax

წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 17%-ით ნაკლებია13 . ამასთანავე, აღნიშნული მონაცემიმნიშვნელოვნადჩამოუვარდება 2020 წლისსაწყისპროგნოზს, დაახლოებით 712 მილიარდაშშდოლარს. ქვეყნებისმიხედვით, ტურიზმისინდუსტრიიდანმიღებულიშემოსავალინავარაუდევია, რომყველაზემეტადშემცირდებაჩინეთში.[10]

დიაგრამა30

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის შემოსავლის მოსალოდნელი ცვლილება კორონავირუსის პანდემიის ფონზე (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო:http://www.parliament.ge/ge/ajax

UNWTO-ს თანახმად, ამ ეტაპისთვის COVID-19-ისგან ყველაზე მეტად დაზარალდა აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები შემცირდა 9-12% - ით, იანვარში ნავარაუდევი 5-6%-იანი ზრდის ნაცვლად. აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი ყველაზე მეტად დაზარალდა მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა კუთხითაც. Statista.com-ის მიხედვით, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზარი 2020 წელს სავარაუდოდ, 75.2 მილიონ სამუშაო ადგილს დაკარგავს15 . რეგიონი, რომელსაც COVID-19 – დან ყველაზე დიდი ზარალი მოადგება, არის აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც 2020 წელს ნავარაუდევია, რომ იქნება 48.7 მილიონი სამუშაო ადგილით ნაკლები, ხოლო ევროპა იქნება დანაკარგის სიდიდით რიგით

[10]https://www.statista.com/forecasts/1103426/covid-19-revenue-travel-tourism-industry-forecast

მეორე რეგიონი, რომელიც აღნიშნულ ინდუსტრიაში დაკარგავს 10.1 მილიონ სამუშაო ადგილს.[11]

UNWTO-ს თანახმად, მოსალოდნელია, რომ ყველაზე მეტად დაზარალდება მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. გასათვალისწინებელია, რომ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის საწარმოების წილი ტურიზმის სექტორში 80% შეადგენს. გასაკვირი არაა რომ კორონავირუსის გამო მსოფლიოში გამოცხადბულ პანდემიას განსაკუთრებული გავლენა იმ ქვეყნებზე ექნებარომლის ეკონომიკური ზრდაც მნიშვნელოვნად ტურიზმის სექტორზეა დამოკიდებული, რადგან ეკონომიკაში ტურიზმს დიდი წილი უკავია.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ტურიზმისათვის მოლოდინების განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. აქტიურ ფაზაში მყოფი სექტორი დაძინების ფაზაში გადავიდა. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ვერ შევძელით დსთ-დან ტურისტების შემოდინების მოლოდინების განსაზღვრა,თუმცა შევეცადეთ გაგვეანალიზებინა საქართველოს რეზიდენტებისათვის გამსვლელი ტურიზმის მოლოდინები დსთ-ს ქვეყნებში.

ანალიზისათვის მონაცემთა ბაზად გამოყენებულ იქნა ჩემს ხელმძღვანელთან, ასოცირებულ პროფესორ ნინო აბესაძესთან ერთდ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევისათვის გამოყენებულ იქნა სოციალური ქსელების პლატფორმა. ჩვენს მიერ შედგენილი და საპილოტე კვლევით კორექტირებული პროგრამის მიხედვით მოვახდინეთ საქართველოს რეზიდენტების გამოკითხვა მომავალში საერთაშორისო გამსვლელი ტურიზმის მიმართულებით.

კვლევა ჩატარდა სამი თვის განმავლობაში(აპრილი, მაისი, ივნისი) და მოიცავდა საქართველოს რეზიდენტი 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომლებმაც სამიზნე პერიოდის განმავლობაში განახორციელეს ვიზიტისაზღვარგარეთ. კვლევის დიზაინი ითვალისწინებდა 17 კითხვისაგან შემდგარ ანკეტას. შედეგების შეწონვა და იმპუტაცია განხორციელდა თითოეული კონკრეტული თვის მიხედვით.

[1111]საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. ,,თვალსაზრისი“http://www.parliament.ge/ge/ajax

რესპონდენტებიდან მიღებული მონაცემები პარალელურად ერთიან ბაზაში იტვირთებოდა და ანალიზდებოდა პროგრამების – „MS excel“-ისა და „SPSS 20“-ის – საშუალებით, სორტირების, ფილტრაციის, რეკოდირების, კროსტაბულაციის, ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფებების, ჯგუფური და კომბინაციური ცხრილების მომზადებისა და სხვადასხვა სტატისტიკური ინდიკატორის გამოთვლის საფუძველზე.[12]

როგორც კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 67,5% პანდემიის გამოცხადებამდე არაერთხელ ჰქონდა მოგზაურობის ისტორია და რესპონდენტთა 43,2%- საზღვარგარეთ იმყოფებოდა დასვენება, გართობა და რეკრეაციის მიზნით, 16.9%-ისათვის მიზანი იყო მკურნალობა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, 25,4% პროფესიული საქმიანობის მიზნით გაემგავრა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, 8.5%კი ნათესავებისა და ახლობლების მოსანახულებლად.

როგორც აღმოჩნდაპანდემიისგამოცხადებამდე რესპონდენტთა 65% გეგმავდასაზღვარგარეთგამგზავრებას. საინტერესო მონაცემები მივიღეთ გამგზავრების სასურველი ლოკაციების შეფასებისას. რესპონდენტთა ყველაზე მეტი, 24,1% აპირებდა იტალიაშიგამგზავრებას, 22,4%-გერმანაიში, 15,5% ესპანეთში, 12,1% საფრანგეთში, 10,3% შვეიცარიაში, 5% უკრაინაში და ა.შ. როგორც ვხედავთ საქართველოს რეზიდენტებისათვის გასამგზავრებლად სასურველ ქვეყნებს შორის ძირითადად სჭარბობს ევროკავშირის ქვეყნები. ამიტომაცაა, რომ გამოკითხულთა ყველაზე მეტი 35,1% უპირატესობას ანიჭებს საქართველოს ავიახაზებს(Georgian Airways), 29,7% თურქეთის ავიახზებს (Turkish Airlines), 27% ვიზიარს (Wizz air), 17,6 % რაინეარს (Ryanair).

მიუხედავად მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობისა, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული პოზიტიურადაა განწყობილი მოგზაურობის მიმართ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რესპონდენტთა 43% პანდემიის დასრულების შემდეგ აუცილებლად

[12]ნ.აბესაძე საქართველოდან გამყვანი ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა კორონომიკის პირობებში. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის:კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“ მასალები

გაემგზავრება საზრვარგარეთ. 27% დადებითად აფასებს მოგზაურობას, ხოლო უარი ქვეყნიდან გასცვლაზე განაცხადა მხოლოდ 12.3%-მა. რესპონდენტთა უმრავლესობა, 64,9%, საქართველოდან გასამგზავრებლად უცხოური ავიახაზების მომსახურებით ისარგებლებს.

საინტერესო სურათი გამოვლინდა სასურველი ქვეყნების გეოგრაფიულ სტრუქტურაში. რესპონდენტთა 29,1%-ის აზრით აუცილებლად გაემგზავრება იტალიაში, 19%მა სასურველ ქვეყნად დაასახელაგერმანია, 17,7%-მა ესპანეთი, 15,2%-მა შვეიცარია,11,4%-მა აშშ-ში,10,1%-მა საფრანგეთში, 3% უკრაინა, აზერბაიჯანი-0,8% და ა.შ. რესპონდენტების უმეტესობა, 53% თვლის, მოგზაურობისას მისთვის სასურველ ქვეყანაში გაატარებს 4-6 ღამეს. ვიზიტორთა 52.7%-თვის, 17,6% აპირებს რომ საზღვარგარეთ დარჩეს 7-9 დღე, ხოლო 23% 10 დღეზე მეტი. გამოკვლევაში ძირითადად აქტიურობდნენ 15-44 წლის ასაკის რესპონდენტები.

რესპონდენტთა 46,7% სამომოგზაუროდ წავიდოდა ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ერთად, 32% მეგობრებთან ერთდ, მარტო იმოგზაურებდა რესპონდენტთა 8%, ხოლო 13,3% – კოლეგებთან ერთად.

გამოკითხულთა უმრავლესობა (65,4%) უპირატესობას ანიჭებს სასტუმროს, როგორც განთავსების ყველაზე პოპულარულ საშუალებას, 11,8% – ჰოსტელს, 10,5%-სასტუმრო სახლს, 9,2% ახლობლის სახლს.რესპონდენტთა38% ფიქრობს, რომ მოგზაურობისას დახარჯავს 1000-1500-მდე, 27,8%- კი დახარჯავს 1500 ლარზე მეტს.[13]

[13]ნ.აბესაძე საქართველოდან გამყვანი ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა კორონომიკის პირობებში. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის:კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“ მასალები

დასკვნა

- 1)2015-2019 წლებში სახეზეა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ზრდის ტენდეცია, მათ შორის დსთ-ს ქვეყნებიდან;
- საერთაშორისო ვიზიტორების ტოპ ათეულში სისტემატურად იკავებს ადგილს აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი;
- 2015 და 2016 წლების მიხედვით გეოგრაფიულ სტრუქტურას სათავეში ედგა სომხეთი, ხოლო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში უპირობო ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს აზერბაიჯანი;
- საშუალო აბსოლუტური მატება 2010-2019 წლებში საქართველოში განხორციელებული ვიზიტებისთვის არის 510 452, რაც გულისხმობს, ხოლო ზრდის საშუალო ტემპი არის 1,108;
- დსთ-დან შემომსვლელი ტურისტებს შორის სჭარბობს 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფის ტურისტები;
- დსთ-ს ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტორებში მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალების რაოდენობას;
- დსთ-ს ქვეყნებიდან ტურისტული მიზნით განხორციელებული ვიზიტები ყველა წელს აღემატებაერთდღიანი ვიზიტების რაოდენობას;
- დსთ-დან ტურისტების საშუალო აბსოლუტური მატების ტემპი 2015-2019 წლებში არის 263 088 , ხოლო საშუალო წლიური ზრდის ტემპი არის 1,094 .
- გლობალური, კონკურნტუნარიანობის ინდექსის მიხედვით გაუარესდა საქართველოს პოზიციები მსოფლიო რეიტინგში;
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველო მე-12 პოზიციაზეა და 2020 წელს 4 პოზიციით დაწინაურდა 2019 წელთან შედარებით; ამ ინდექსის მიხედვით საქართველოს პოზიცია დსთ-ს წევრებთან შედარებით 2010-2020 წლებში ლიდერისაა და ამას სტაბილურად ინარჩუნებს;

- ტურიზმისა და მოგზაურობის ინდექსის მიხედვით პოზიცია 2019 წელს გაუმჯობესდა და 68 ადგილზე იმყოფება;
- მოლოდინები ტურიზმის განვითარებაში, შეიძლება ითქვას დადებითია.

გამოყენებულილიტერატურა

1. აბესაძენ, ქინქლაძე რ, ჩიტალაძე ქ, სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბილისი 2018 ,გვერდი 22
2. აბესაძე ნ, გლობალურიინდექსებიდატურიზმისგანვითარებასაქართველოში, სტატისტიკისსწავლებადასტატისტიკურიკვლევებისაქართველოში, თბილისი 2018, გვ.22-31
3. აბესაძე ნ, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციების დანერგვის პრობლემები საქართველოში, I საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, ბათუმი 2010, გვ.18-21
4. აბესაძე ნ, გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში, სტატისტიკის სწავლება დასტატისტიკურიკვლევები საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 22-23
5. ახვლედიანი ნ, ვირსალაძე ნ, ონიანი ი-ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადიმიმართულებები, სტატისტიკის სწავლება დასტატისტიკურიკვლევები საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 51-52
6. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გზამკვლევი- http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf
7. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გზამკვლევი მეტრეველი მ, ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტი პრინტი, თბილისი 2014
8. ევროპულიინიციატივალიბერალურიაკადემია, ვიზისფასილიტაციადარეადმისია: უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები, თბილისი 2012
9. კბილაძე, დ.,აბესაძე, ნ სტატისტიკურიაღრიცხვისპრობლემებისაქართველოსტურიზმში. საერთაშორისოკონფერენციისშრომებისკრებული. გორი. 2009, გვ,67-79

10. მარშავა ქ, კიკორია გ, ტურიზმის განვითარება და ეკონომიკური ზრდა, სტატისტიკის სწავლება დასტატისტიკურიკვლევები საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 114-116
11. საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის 2008 (International Recommendations for Tourism Statistics 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNWTO), ნიუ იორკი 2010
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი. https://www.geostat.ge/ka-
13. შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები, თბილისი 2019https://www.heritage.org/index/pdf/2020/book/index_2020.pdf
14. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი https://police.ge/
15. ტურიზმისა და მოგზაურობის ინდექსის გზამკვლევი
16. International Recommendations for Tourism Statistics 2008. Department of Economic and Social Affairs Statistics Division. New York, 2010.
17. Methodological manual for tourism statistics, Eurostat, 2014.
18. https://www.weforum.org/reports/the-travel-tourism-competitiveness-report-2019
19. http://mastsavlebeli.ge/?p=1084